პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 10 (9478) | სამშაბათი, 13 იანვარი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

მეხილეობა სოფლის მეურნეობის სანიმუშო დარგად გავხადოთ

მეხილეობა საქართველოს უძველესი და უმნიშვნელოვანესი დარგია. ხეხილის ბაღები კარგი მოვლის პირობებში კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა მაღალი ფულადი შემოსავლის სერიოზულ წყაროს წარმოადგენენ.

ჩვენში ყველა პირობა არსებობს მეხილეობის მძლავრი განვითარებისათვის. საბჭოების დიად ქვეყანაში განუხრელად იზრდება მოთხოვნილება ხილზე. მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ პარტიის XIX ყრილობის დირექტივებში მეხილეობის განვითარების ფართო პროგრამაა დასახული. ხუთწლედის მანძილზე ბაღებისა და საკენკრეების ფართობი კოლმეურნეობებში დაახლოებით 70 პროცენტით უნდა გადიდდეს. საქართველოს კომპარტიის XV ყრილობამ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს ამოცანად დაუსახა ხეხილის ბაღების მზრუნველობით მოვლა.

თხუთმეტი წლის წინათ ნაკლები ქიმიკატების, ტექნიკისა და კადრების პირობებში ხეხილის ბაღების მდგომარეობა უკეთესი იყო და კოლმეურნეობები მეტ მოსავალსაც იღებდნენ. უკანასკნელ წლებში კი, როცა მანქანები, ქიმიკატები და მომზადებული კადრებიც მეტია, მეხილეობის მდგომარეობა არათუ არ გაუმჯობესებულა, არამედ კიდევაც გაუარესდა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ძველი ხელმძღვანელობის მანკიერმა სტილმა დიდი ზიანი მიაყენა სოფლის მეურნეობის ამ მნიშვნელოვან დარგს. მეხილეობას ჩვენს რესპუბლიკაში ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში მოწვეულ სპეციალურ თათბირზე გამოირკვა არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა მეხილეობის დარგში. მეხილეობის ძირითად რაიონებში ბაღებს ცუდად უვლიან და ნარგავები ალაგ-ალაგ კიდევაც იღუპება. მთელ რიგ კოლმეურნეობებში ბაღები გადაქცეულია საძოვარ ადგილებად და მათში მოთავსებულია მეცხოველეობის ფერმებიც კი. ასეთ უმსგავსოებას ვხვდებით ქუთაისის, ტყიბულის, ბოლნისისა და სხვა რაიონების კოლმეურნეობებში.

ხეხილის ბაღების არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა წარმოადგენს საოლქო და რაიონული საბჭოთა და პარტიული ორგანოების სუსტი ხელმძღვანელობის, აგრეთვე საქართველოს სსრ ტექნიკური კულტურების და სოფლის მეურნეობის სამინისტროების ცუდი მუშაობის შედეგს.

ამოცანა ის არის, რომ ბოლო მოვუღოთ მეხილეობის შეუფასებლობას, გადაჭრით გავაუმჯობესოთ ხეხილის ბაღების მოვლა, მიჩურინული აგრობიოლოგიური მეცნიერების შესანიშნავი მიღწევები მთლიანად ჩავაყენოთ ხილის მოსავლიანობის გადიდების სამსახურში.

მარცვლეული კულტურებისათვის გამოყოფილი ფართობების გადიდებასთან დაკავშირებით ხეხილის ახალი ბაღების გაშენების შეზღუდვა ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებისაგან მოითხოვს ძირეულად გააუმჯობესონ ხეხილის ბაღების მოვლა. მარცვლეულის პრობლემამ არ უნდა დაჩრდილოს მეხილეობის დიდი მნიშვნელობა ჩვენი სოფლის მეურნეობისათვის. გადაჭრით უნდა აღვკვეთოთ სოფლის მეურნეობაში „რიგითობის“ მანკიერი, მავნე პრაქტიკა. არ შეიძლება გავაძლიეროთ სოფლის მეურნეობის ერთი დარგი მეორე დარგისადმი ხელმძღვანელობის შესუსტების ხარჯზე. ხელმძღვანელობის ხელოვნება ის არის, რომ სოფლის მეურნეობის ყველა დარგს ოპერატიულად ვუხელმძღვანელოთ.

მებაღეობის განვითარების საქმეში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს მექანიზაციის ფართოდ დანერგვამ. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო მოწოდებულია ამ საქმეში ჯეროვანი ხელმძღვანელობა და დახმარება გაუწიოს იმ მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს, რომლებიც მებაღეობის კოლმეურნეობებს ემსახურებიან.

დიდი მნიშვნელობა აქვს მეხილეობის კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებას, შრომითი რესურსების მთლიანად, სწორად გამოყენებას. მებაღეობის ბრიგადებისა და რგოლების შემადგენლობის გამოცდილი, მცოდნე კოლმეურნეებით დაკომპლექტება და მათი დანიშნულებისამებრ გამოყენება შრომის ნაყოფიერების გადიდების აუცილებელი პირობაა.

ბაღებში ყველა სამუშაო მაღალ აგროტექნიკურ დონეზე უნდა ჩავატაროთ. ეს იმას ნიშნავს, რომ საჭიროა უზრუნველვყოთ ყველა ძველი, არამსხმოიარე ნარგავების აღდგენა, აგრეთვე გამეჩხერებული ნარგავების რემონტი, ბაღების გარშემო მოვაწყოთ ქარსაფარი ზოლები და ცოცხალი ღობე, უკეთესად გამოვიყენოთ ადგილობრივი ორგანული სასუქები, დადგენილ ვადებში განვახორციელოთ მორწყვა და სხვა აგროტექნიკური ღონისძიებანი.

ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები მოწოდებული არიან უზრუნველყონ მეხილეობის ამაღლება ჩვენი მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობის მოწინავე დარგების დონემდე. თვითეულ კოლმეურნეობას და საბჭოთა მეურნეობას უნდა ჰქონდეს სანიმუშოდ მოწყობილი ბაღი. ამას უნდა მივაღწიოთ კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშების, სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა თავდადებული შრომით, პარტიის საოლქო და რაიონული კომიტეტების მიერ მეხილეობისადმი კონკრეტული, კვალიფიციური ხელმძღვანელებით.

მებაღეობის აღმავლობის დარგში მთავარი ამოცანაა ბაღების მოსავლიანობის მკვეთრად გადიდება. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში მეხილეობის საკითხზე შემდგარ თათბირზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხანაგმა ა. ი. მგელაძემ მიგვითითა: „ჩვენი სოციალისტური მეხილეობა შეიძლება აყვანილ იქნას და კიდევაც აყვანილ უნდა იქნას ისეთ სიმაღლეზე, როგორზეც იგი წინათ არასოდეს არ ყოფილა. ჩვენ მოვალენი ვართ მივაღწიოთ ხილის უხვი, მყარი მოსავლის მიღებას. ჩვენი ქვეყანა წლითიწლობით სულ უფრო და უფრო მეტ საუცხოო სურნელოვან ქართულ ვაშლს, მსხალს, ატამს, ლეღვს, შავქლიავს უნდა იღებდეს. ჩვენი საკონსერვო ქარხნები და საკონდიტრო ფაბრიკები სავსებით უნდა უზრუნველვყოთ ნედლეულით საუკეთესო ხარისხის მურაბის, კომპოტის, სიროფის, ჯემის, ჩირის, ცუკატის დასამზადებლად.

საქართველოს კომუნისტებმა, ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელმა ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ უახლოეს წლებშივე აღვადგინოთ, ავამაღლოთ საქართველოს ხეხილის ბაღების ყოფილი სახელი“.

ამ საპატიო ამოცანის განსახორციელებლად უნდა წარიმართოს პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობა საკოლმეურნეო სოფელში. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, განუხრელად ასრულებს რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და ამხანაგ სტალინის მითითებებს, გადამწყვეტ ღონისძიებებს იღებს საქართველოს სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილი დარგების მოწინავეთა დონეზე აყვანისათვის. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ გამოყოფილი კომისიის მასალების საფუძველზე მიღებულია ვრცელი გადაწყვეტილება, რომელშიც მოცემულია მებაღეობის აღმავლობის კონკრეტული ღონისძიებები. პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ამოცანაა ამთავითვე ორგანიზებულად წარმართონ ბრძოლა დადგენილების განხორციელებისათვის, გამოასწორონ მეხილეობაში შექმნილი მდგომარეობა.

საკოლმეურნეო სოფელში ფართოდ ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება 1953 წელს ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის უხვი მოსავლისათვის. დიდი სტალინის გენიალურმა შრომამ „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“, მისმა ბრძნულმა სიტყვამ პარტიის XIX ყრილობაზე და ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა სოფლის მშრომელები ახალი შრომითი მამაცობისათვის აღაფრთოვანეს. საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრების ღირსეული მონაწილენი უნდა გახდნენ ჩვენი მეხილეები, საქმით შეასრულონ მათ წინაშე დასახული დიდი და საპატიო სამუშაოები.

მივცეთ სოციალისტურ სამშობლოს მეტი ქართული ხილი, მეხილეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის სანიმუშო დარგად გავხადოთ — ასეთია საბრძოლო ამოცანა.

სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის ახალი მეთოდები

სოფლის მეურნეობა წელს გამოიყენებს მთელ რიგ ახალ ეფექტიან მეთოდებს მავნე მწერებთან ბრძოლაში. უშვებენ რამდენიმე ათას აპარატს, რომელიც ნისლივით აფრქვევს ზეთს. ამ ზეთში გახსნილია მავნებელთა მომსპობი გექაქლორანი. სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შარშან მოწყობილმა მასობრივმა ცდებმა ცხადყო ახალი მეთოდის დიდი ეფექტიანობა. დახურულ შენობებში ბეღლის ტკიპა, ცხვირგრძელა და სხვა მავნებლები მთლიანად ისპობოდნენ მოკლე ვადაში.

ამ აპარატების გამოყენება სამოთხჯერ ამცირებს შრომას და ერთიორად ამცირებს მავნებლებთან ბრძოლის ხარჯებს. წელს ამ აპარატებს ფართოდ გამოიყენებენ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ბეღლებში, საწყობებსა და მეცხოველეობის ფერმებში. დასახულია განხორციელდეს მავნე მწერთა შხამიანი ნისლით მოსპობის ფართო ცდები მინდვრად, ბაღებში, ტყეებსა და მინდორსაცავ ზოლებში.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო ფართოდ ნერგავს აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების ნიადაგის მავნებელთა წინააღმდეგ ბრძოლის ახალ მეთოდს ფოსფორიტის ფქვილში არეული გექაქლორანის კონცენტრატის საშუალებით. კონცენტრატი შეიქვთ ნიადაგის ზედაპირულ ფენაში ჩვეულებრივი სასუქსათესი მანქანებით. მისი ერთჯერადი შეტანა სამი-ოთხი წლით წმენდს მინდვრებს ნიადაგის უაღრესად მავნე მავნებლისაგან-ტკაცუნასაგან.

ამჟამად ინერგება კომბინირებული პრეპარატი, რომელიც ამავე დროს თესლსაც უვნებელს ხდის დაავადებისაგან და იცავს მას ტკაცუნათი დაზიანებისაგან. (საკ.).

საბჭოთა ქვეყანაში

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო სესია, მიძღვნილი ი. ბ. სტალინის ნაწარმოებისადმი „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“

10 იანვარს დამთავრდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის განყოფილებისა და ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია, მიძღვნილი ი. ბ. სტალინის ნაწარმოებისადმი „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“. სესია გრძელდებოდა ოთხ დღეს. მან მეცნიერული საზოგადოებრიობის დიდი ინტერესი გამოიწვია და ჩაიარა აზრთა გაცხოველებული გაცვლა-გამოცვლის ვითარებაში. სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო მრავალმა მეცნიერ მუშაკმა — მოსკოვისა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქების ეკონომისტებმა.

მოხსენებებსა და კამათში წამოყენებული იყო სტალინის გენიალური შრომიდან გამომდინარე მთელი რიგი პრობლემები, რომლებმაც ხელი შეუწყეს ამ შრომის ძირითად დებულებათა უფრო ღრმად გაგებას და ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერული გამოკვლევების აქტუალური ამოცანების განსაზღვრას.

სესიაზე გამოსულნი ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ ამხანაგ ი. ბ. სტალინის შრომა „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ — უდიდესი წვლილი მარქსიზმ-ლენინიზმის საგანძურში — მოასწავებს ახალ ეტაპს პოლიტიკური ეკონომიის განვითარებაში. დაასაბუთა რა სოციალიზმის ეკონომიკური კანონების ობიექტური ხასიათი, ამხანაგმა ი. ბ. სტალინმა პოლიტიკური ეკონომიის შესწავლა მტკიცე მეცნიერულ ნიადაგზე დააყენა და გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა სუბიექტივისტურ, იდეალისტურ შეხედულებებს, რომლებიც გავრცელებული იყო ეკონომიკის მეცნიერების დარგში, ფილოსოფიაში, სამართალში.

გამოსვლებში აღნიშნავდნენ ი. ბ. სტალინის შრომის უდიდეს მნიშვნელობას კომუნისტური მშენებლობის თეორიისა და პრაქტიკისათვის. ეს შრომა რევოლუციური თეორიის ნათელი შუქით ანათებს იმპერიალისტური ჩაგვრის წინააღმდეგ, მშვიდობისა და დემოკრატიისათვის ყველა ქვეყნის ხალხთა მასების ბრძოლის ამოცანებსა და პერსპექტივებს.

სესიაზე მოსმენილ იქნა 12 მოხსენება. კამათში გამოვიდა 16 ამხანაგი. მოკამათენი ეხებოდნენ ეკონომიკური კანონების ხასიათს სოციალიზმის დროს, ი. ბ. სტალინის მიერ სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონისა და თანამედროვე კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის აღმოჩენას და დასაბუთებას, სასაქონლო წარმოების საკითხებს და ღირებულების კანონს სოციალიზმის დროს. სამი მოხსენება მიეძღვნა სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის პრობლემებს.

მოხსენებების განხილვამ, სესიის მონაწილეთა წინადადებებმა, აზრთა გაცვლა-გამოცვლამ ხელი შეუწყო ეკონომიკის ინსტიტუტისა და ჟურნალ „ვოპროსი ეკონომიკის“ საქმიანობაში ნაკლოვანებათა გამოვლინებას. გაჩაღდა კრიტიკა და თვითკრიტიკა სუბიექტივისტური იდეალისტური შეცდომებისა, რომლებიც ჰქონდათ მთელ რიგ ეკონომისტებს. სესიამ დაგმო იმ სტატიების ავტორები, რომლებიც ამხანაგ ი. ბ. სტალინის შრომის გამოქვეყნების შემდეგ დაადგნენ პოლიტიკური ეკონომიის საკითხებში თავიანთ უხეშ შეცდომებზე დუმილის გზას.

სესიამ ეკონომიკის ინსტიტუტის ყურადღება მიაქცია იმ პრობლემების ფართოდ დამუშავებას, რომლებიც გამომდინარეობენ სტალინის გენიალური შრომიდან, და დაავალა ინსტიტუტს ღრმად ჩასწვდეს შესასწავლი მოვლენების არსს, შექმნას მნიშვნელოვანი თეორიული შრომები სოციალიზმის პოლიტიკური ეკონომიის დარგში. დიდი ამოცანები ისახება თანამედროვე კაპიტალიზმის პრობლემების შესწავლის დარგში, პრობლემებისა, რომლებიც დაკავშირებულია ერთიანი მსოფლიო ბაზრის დაშლასთან და მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის კრიზისის გაღრმავებასთან.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა-კორესპონდენტმა კ. ვ. ოსტროვიტიანოვმა საბოლოო სიტყვაში შეაჯამა სესიის ზოგიერთი შედეგები და შეჩერდა ნაკლოვანებებზე მოხსენებებსა და გამოსვლებში. კერძოდ მან გააკრიტიკა არაზუსტი ფორმულირებანი აკადემიკოს ვ. ს. ნემჩინოვის მოხსენებაში.

სესიის მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი. (საკ.).

სტალინგრადის ჰესის მშენებლობაზე

დაბა ვოლჟსკი (სტალინგრადის ოლქი), 10 იანვარი. (საკ.). სტალინგრადის ჰესია მომავალი შენობის ქვაბულის რაიონში ვადაზე ნახევარი თვით ადრე დამთავრდა სიღრმის წყალსაშვების სისტემის პირველი რიგის მშენებლობა. ქვაბულის ზღუდარის სამხრეთი კედლის გაყოლებით გათხრილია 33 ჭაბურღილი. ზოგიერთ ჭაბურღილში ჩადგმულია ტუმბოები. მათმა გამოცდამ კარგი შედეგი მოგვცა.

ახლა დაიწყო სიღრმის წყალსაშვები სისტემის მეორე რიგის აგება ქვაბულის დასავლეთი ზღუდარის გაყოლებით. სულ გაზაფხულის წყალდიდობამდე ქვაბულის რაიონში ჰიდროელექტროსადგურის მომავალი შენობისათვის უნდა გაითხაროს და ტუმბოებით მოიწყოს 300-მდე ჭაბურღილი. შემდეგ დაიწყება წყალსაშვები ჭაბურღილების გათხრა ჰესის რკინა-ბეტონის წყალსაშვები კაშხალის ქვაბულის რაიონში.

გამძლე თბოსაიზოლაციო მასალა

მწყობრ რიგებად ალაგებენ მინერალური კორპის ფილებს იმ სასტუმროს მაღალი შენობის კედლებში, რომელიც მოსკოვში დოროგომილოვის სანაპიროზე ზენდება. ეს ფილები ათბუნებენ შენობას და ყურის ხმაურისაგან იცავენ მის შიდასათავსებს.

ეს თბოსაიზოლაციო ფილები მოსკოვის მენდელეევის სახელობის ქიმიურ-ტექნოლოგიური ინსტიტუტის პროფესორის ნ. ვ. ტრუბნიკოვის ოცი წლის კვლევის შედეგია. ფილები მზადდება მინერალური ბამბისაგან, რასაც ცემენტის ქარხნების ნარჩენისაგან იღებენ და ბიტუმური სითხით ეღენთავენ. ფილები არ ლუპება და ტენს არ უშვებს. მათი წონა სამჯერ მსუბუქია წყალისაზე.

ახალ მასალას წარმატებით იყენებენ სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობაში. ამ მასალით დათბუნებულია კოლომნის თევზკომბინატის, ტროლეიბუსის პარკის შენობები მოსკოვში. მინერალური კორპის გამძლეობა საკვლევით შეეფერება კაპიტალურ ნაგებობათა გამძლეობას.

მინერალური კორპის ფილების გამოყენება ერთისამად-ერთიოთხად ამცირებს წყიდის და ბეტონის ხარჯს, მნიშვნელოვნად აიაფებს მშენებლობას. (საკ.).

ახალი მანქანა

ალექსანდროვსკი ვოროშილოვის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში (მოლოტოვის ოლქი) დაამზადეს და გამოსცადეს ახალი მანქანა ქვანახშირის შახტებისათვის — ტელესკოპური აგებულების ლენტური 200-მეტრიანი კონვეიერი. მანქანა განკუთვნილია ჰორიზონტული და დახრილი მოსამზადებელი გვირაბების გაყვანის კომპლექსური მექანიზაციისათვის. (საკ.).



მოსკოვის ს. ორჯონიკიძის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანაში აწყობენ სამოცი ტიპის ახალ მაღალი წარმადობის ჩარხებს. სურათზე: ხაამწყობო ხაამქროში. უბნის უფროსი ოსტატი კომუნისტი ვ. ი. გორეხოვი (მარჯვნივ) და ზენიკალ-ამწყობი კომკავშირელი ა. ა. ხიდორენკო ათვალიერებენ მრავალ-შპინდელიან აგრეგატულ ჩარხს გამოცდის შემდეგ.

ფოტო კ. ივანოვისა და ვ. კუნოვისა (საკ. ფოტოქრონიკა)

ბიუსტის გახსნა გმირის სამშობლოში

ლენინგრადი, 11 იანვარი. (საკ.). თოვლით არის მოფიფქული მოსკოვის რაიონის გამარჯვების პარკის გმირთა ხეივანი. ასობით ლენინგრადელი შეეკრიბა დღეს აქ, რათა დაესწროს ორგზის საბჭოთა კავშირის გმირის, ჯავშანსატანკო ჯარების მარშლის ს. ი. ბოგდანოვის ბიუსტის საზეიმო გახსნას.

ლენინგრადის სამხედრო ოლქის სარდლობის სახელით გამოვიდა საბჭოთა კავშირის გმირი ამხ. მიტროფანოვი. მან ილაპარაკა ლენინგრადის მკვიდრი, ყოფილი პუტილოვის ქარხნის მუშის შვილის, ჯავშანსატანკო ჯარების მარშალ ბოგდანოვის საბრძოლო გზის შესახებ. დიდი სამამულო ომის დროს მარშალი ბოგდანოვი მეთაურობდა დიდ სატანკო და მექანიზებულ შენაერთებს.

გულის ხმოვანი რენტგენოლოგია

სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის თერაპიის ინსტიტუტში წარმატებით იყენებენ რენტგენეკრანის გახმოვანების აპარატურას, რომელიც შექმნა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა ი. ი. სავჩენკოვმა. იგი საშუალებას იძლევა ერთსა და იმავე დროს შევამოწმოთ გულის რენტგენოლოგიური სურათი და მოვისმინოთ მისი მოძრაობის ყოველი ხმა.

ამხ. სავჩენკოვის ხელსაწყოთა სისტემა ამავე დროს შესაძლებლობას იძლევა ჩავწეროთ ფოსკზე გულის პულსატორული მოძრაობა და გულის ხმები.

ახალი ხელსაწყოს გამოყენებით შეიძლება მოვისმინოთ და გავსინჯოთ გულის რენტგენოლოგიური სურათი კოლექტიურად — ექიმთა დიდ ჯგუფში, ხოლო პედაგოგიური მიზნებით — მთელ აუდიტორიაშიც.

თერაპიის ინსტიტუტში შემუშავებული ხმოვანი რენტგენოლოგია საშუალებას გვაძლევს დავაზუსტოთ გულისა და სისხლძარღვების დაავადებათა დიაგნოსტიკა.

სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა ცნო, რომ ი. ი. სავჩენკოვის მეთოდიკა წარმოადგენს დიდ სამეცნიერო ინტერესს და მას პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

გადაწყვეტილია რენტგენის კაბინეტი, რომელსაც ი. ი. სავჩენკოვი ხელმძღვანელობს, გადაკეთდეს დამოუკიდებელ ლაბორატორიად. (საკ.).

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

☆ ☆ ☆

ჩინეთის მშრომელები ეუფლებიან მარქსიზმ-ლენინიზმს

შანხაი, 9 იანვარი. (საკ.). იზრდება ჩინეთის მშრომელთა ფართო მასების ინტერესი მარქსიზმ-ლენინიზმის შესწავლისადმი. იხსნება მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების ძირითად დებულებათა შემსწავლელი სკოლები და კურსები, ეწყობა ამხანაგ ი. ბ. სტალინის გენიალური შრომის „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის დოკუმენტების სისტემატური შესწავლა.

როგორც გაზეთი „ძიანსიჟიბაო“ იუწყება, ამას წინათ ნანჩანში გაიხსნა მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს სკოლა ქალაქის სახელმწიფო დაწესებულებათა კადრის მუშაკებისათვის. სკოლა მოამზადებს მარქსიზმ-ლენინიზმის მასწავლებლებს.

გაზეთი „ჩანძიანჟიბაო“ იუწყება, რომ ცენტრალურ-სამხრეთ ჩინეთის სახელმწიფო აპარატის მუშაკები ფართოდ სწავლობენ ამხანაგ ი. ბ. სტალინის ახალ შრომას და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის მასალებს. გაზეთის ცნობებით, ამ დოკუმენტებს ახლა მთელ რაიონში სწავლობს სახელმწიფო დაწესებულებათა დაახლოებით 225 ათასი მუშაკი.

ჩუნცინის გაზეთ „სინხუაჟიბაოს“ ცნობით, სამხრეთ-დასავლეთ ჩინეთის სახელმწიფო დაწესებულებათა და ჩუნცინის სახალხო ხელისუფლების საქალაქო ორგანოთა 50 ათასზე მეტი მუშაკი უკვე ამთავრებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის დოკუმენტების შესწავლას და მალე შეუდგება ამხანაგ ი. ბ. სტალინის ახალი შრომის შესწავლას.

ფართო მასშტაბით მიმდინარეობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის მასალების შესწავლა აღმოსავლეთ ჩინეთში. მარტო ძიანსუს პროვინციაში, წერდა ნანკინის გაზეთი „სინხუაჟიბაო“, ამ მასალებს სწავლობს სამხრო, რაიონულ და პროვინციულ სახელმწიფო დაწესებულებათა 71.200-ზე მეტი მუშაკი.

ჩინეთის სახელმწიფო და პარტიული აპარატის მუშაკების მიერ მარქსისტულ-ლენინური თეორიის ღრმად შესწავლასთან ერთად ჩინეთის ბევრ ქალაქსა და რაიონში ფართოდ ჩაღდება მუშათა და გლეხთა აქტივისტების პოლიტიკური განათლება.

ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადების მეშვიდე წლისთავი

ტირანა, 10 იანვარი. (საკ.). ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადების მე-7 წლისთავის წინადღეს ალბანეთის დედაქალაქში სადღესასწაულო ეერი მიიღო. ქალაქის ცენტრში ტირანის სახალხო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შენობის ფასადზეა ი. ბ. სტალინისა და ენვერ ხოჯას დიდი პორტრეტები. დიდ ტილოებზეა ლოზუნგები: „გაუმარჯოს ალბანეთის სახალხო რესპუბლიკასს“, „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის სახელოვან კომუნისტურ პარტიასს“.

გაზეთები აქვეყნებენ მოწინავე სტატიებს, რომლებშიც შეჯამებულია ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის შვიდი წლის ეკონომიკური და კულტურული მშენებლობის შედეგები.

გაზეთი „რინია“ მოწინავე სტატიაში წერს: შვიდი წლის წინათ სახალხო რესპუბლიკის გამოცხადება ჩვენი ქვეყნის ისტორიაში უდიდესი მნიშვნელობის მოვლენაა. ამ ემნიშვნელოვანესი ისტორიული აქტით ალბანელმა ხალხმა განიმტკიცა გამარჯვება, რომელიც მან მოიპოვა ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის წარმატებითი ბრძოლის შედეგად, ალბანელი ხალხის თავდადებული და გმირული ბრძოლის მეოხებით. ამის მეოხებით, რომ ამ ბრძოლას სათავეში ედგა ალბანეთის შრომის პარტია, რომელსაც ენვერ ხოჯა ელმძღვანელობს. შვიდ წელიწადში ალბანეთის სახალხო რესპუბლიკამ, საბჭოთა კავშირისა და დიდი სტალინის დიდ და გულუხვ დახმარებაზე დაყრდნობით, ედიდესი წარმატებანი მოიპოვა სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობაში, განახორციელა ისეთი ღონისძიებანი, რომელთა ბადალი მთელ მის ისტორიაში არ ყოფილა.

სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის ახალი მეთოდები

პარტიული ცხოვრება

გულმოდგინედ სწავლობენ პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებს

თბილისის კამვოლ-მაუდის ფაბრიკის მუშათა მრავალრიცხოვანი კოლექტივი, მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელებთან ერთად, უდიდესი ინტერესით სწავლობს პარტიის XIX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, ყრილობის დასკვნითს სხდომაზე ამხანაგ სტალინის შთამაგონებელ სიტყვას და მის გენიალურ ნაწარმოებს „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“.

დიდი მონდომებით შეუდგნენ ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესწავლას მუშები, მოსამსახურეები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები. ამ მნიშვნელოვანი დოკუმენტების შესწავლაში მათ სერიოზულად ეხმარება კარგად დაყენებული სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა. მასობრივი-სააგიტაციო მუშაობის ძირითადი რგოლი აგიტატორია. აგიტატორის პოლიტიკური სმახვილეზე, მის უნარიან მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული მის გარშემო შემოკრებილ მშრომელთა იდეური აღზრდა, მათი დარაზმვა საერთო-სახალხო გეგმის შესრულებისათვის. ამიტომ სწორად მოიქცა ფაბრიკის პარტბიურო (მდივანი ამხ. კ. ანდღულაძე), როდესაც თავიდანვე სერიოზული ყურადღება მიაქცია აგიტატორთა კადრების შერჩევის, მათთვის ხელმძღვანელობისა და დახმარების გაძლიერების საკითხს. ამჟამად ფაბრიკაში 100-ზე მეტი აგიტატორი და წამკითხველი-მესაუბრე ეწევა ყრილობის მასალების პროპაგანდას. კარგად არის მოწყობილი სააგიტაციო მუშაობა კამვოლურ, მაუდისა და საქსოვ საამქროებში. მარტო კამვოლური საამქროს მუშათა შორის 16 აგიტატორი ეწევა აგიტაციას. ისინი სისტემატურად ესაუბრებიან მუშებს ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებზე, ამხანაგ სტალინის შესანიშნავ ნაშრომზე. აგიტატორთა შორის გამოირჩევიან საჩეჩი განყოფილების ოსტატი შ. გოგოლიშვილი, უფროსი ოსტატი ვ. ვაზაგაშვილი და სხვები.

აგიტატორ ვ. ვაზაგაშვილის სააგიტაციო საუბრის შემდეგ წარმოების ოსტატმა მარიამ ჟღენტმა თქვა:

— ძველად მუშები დუხჭირ პირობებში ცხოვრობდნენ. მაშინ შრომა მხოლოდ დაჩაგრულთა ხვედრი იყო, შრომისაგან მიღებულ დოვლათს კი კაპიტალისტები ითვისებდნენ. სულ სხვაა ახლა, გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში. ჩვენში შრომა გმირობისა და მამაცობის საქმედ იქცა. ყველაფერი კეთდება მშრომელთა კეთილდღეობისათვის. ავიღოთ თუნდაც ჩვენი ფაბრიკის სინამდვილე. შარშან აგვიშენეს ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომელშიც კეთილმოწყობილი ბინა მეც მივიღე. ჩემი მეუღლეც აქ მუშაობს. ჩვენი თვიური შემოსავალი 3.000 მანეთს აღწევს. ეს საშუალებას გვაძლევს შეძლებულად ვიცხოვროთ და ყოველმხრივი განათლება მივცეთ ჩვენს შვილებს.

მოგიწოდებთ ერთგულად ვიშრომოთ ჩვენი საყვარელი სამშობლოს ასაყვავებლად, რადგან რაც უფრო ძლიერი იქნება იგი, მით უფრო ბედნიერი და საამური გახდება ჩვენი ცხოვრება.

საქსოვ საამქროში კომუნისტი აგიტატორები ი. ფერაძე, გ. ხარიტონაშვილი საინტერესოდ ესაუბრებიან მუშებს ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებზე, რაზმავენ მათ იმისათვის, რომ უკეთესი წარმატებით დაამთავრონ ყოველი სამუშაო დღე.

ფაბრიკამ საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა 15 დეკემბრისათვის შეასრულა, ამასთან 11 თვის განმავლობაში დაზოგა 39 ტონა ნედლეული, 745.000 კილოვატსაათი ელექტროენერგია, 947 ტონა სათბობი. ფაბრიკის დაწინაურების საქმეში ცოტა წვლილი როდი აქვთ შეტანილი ფაბრიკის აგიტატორებს, რომლებიც თავიანთი მართალი სიტყვით და ცხოველმყოფელი საქმეებით აღაფრთოვანებდნენ მშრომელებს საწარმოო დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის საბრძოლველად.

ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადებასთან დაკავშირებით ფაბრიკის აგიტატორების წინაშე ახალი ამოცანები დგას. იმისათვის, რომ წარმატებით გადაჭრან მათ წინაშე დასახული ამოცანები, აგიტატორებს ყოველდღიურად უნდა ეხმარებოდეს ფაბრიკის პარტბიურო, ზრუნავდეს მათი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, აწყობდეს მათთვის ლექციებს, მოხსენებებს. ფაბრიკის პარტიულმა ორგანიზაციამ კი უკანასკნელ ხანებში ერთგვარად შეასუსტა აგიტატორებთან მუშაობა, მათთვის ნაკლებად აწყობს ლექციებს, კერძოდ, სოციალიზმის ეკონომიკურ პრობლემებზე.

მ. ვარდოსანიძე.

ი. ბ. სტალინის შრომისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია

საქართველოს ზოოტექნიკურ-საველტერინარო ინსტიტუტში 8-9 იანვარს ედგა ი. ბ. სტალინის შრომისადმი — „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ — მიძღვნილი სამეცნიერო სესია. სესიაზე მოსმენილ იქნა მოხსენებები: „ი. ბ. სტალინი ბუნებისა და საზოგადოების კანონების ობიექტური ხასიათის შესახებ“ (დოცენტი ვ. სიგუა); „ი. ბ. სტალინი სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი განვითარების კანონის შესახებ“ (დოცენტი ს. ინწკირველი); „ი. ბ. სტალინი თანამედროვე კაპიტალიზმისა და სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონების შესახებ“ (უფროსი მასწავლებელი ნ. ჯაკობიძე); „ი. ბ. სტალინი საკოლმეურნეო საკუთრების საერთო-სახალხო საკუთრების დონემდე აყვანის შესახებ“ (დოცენტი პ. ჯაფარიძე).

XIX ყრილობის მასალების პროპაგანდა მასებში

აბაშის რაიონის პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა გააძლიერეს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა მშრომელთა შორის. 400-მდე აგიტატორი განუმარტავს კოლმეურნეებს, მექანიზატორებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებს, ყრილობის საბოლოო სხდომაზე დიდი სტალინის მიერ წარმოთქმულ ისტორიულ სიტყვას, ბელადის ახალ ნაშრომს.

ყრილობის მასალების გაცნობამ მძლავრი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა გამოიწვია რაიონის საწარმო-დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში. სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ და წარმატებით ანაღდებენ ნაკისრ ვალდებულებებს ტრაქტორისტები ი. მიგინეიშვილი, ნ. გაბუნია, გ. ჭანტურაია, ი. რურუა და სხვები.

ი. ბუხაიძე.

ინტელიგენციის რაიონული კრება

ზუგდიდი. (საკ. კორ.). ზუგდიდის სახელმწიფო თეატრში შედგა რაიონის ინტელიგენციის კრება, მიძღვნილი ამხანაგ ი. ბ. სტალინის ახალი გენიალური შრომისადმი. მოხსენება ი. ბ. სტალინის შრომის „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ მნიშვნელობისა და მისი შესწავლის შესახებ გააკეთა საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომის მდივანმა ამხ. მ. კუჭავამ.

ინტელიგენციის რაიონულ კრებას 600-მდე კაცი დაესწრო.

საქალაქო ბიბლიოთეკაში

ახალციხე. (საკ. კორ.). საქალაქო ბიბლიოთეკაში მოეწყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XV ყრილობის მასალებისა და საარჩევნო ლიტერატურის გამოფენა.

ბიბლიოთეკის აქტივმა შეადგინა პარტიის XIX ყრილობის მასალების ალბომი, რომელიც მკითხველთა დიდ ინტერესს იწვევს.

სასოფლო საბჭო და მისი დეპუტატები

ხულოს სასოფლო საბჭო (თავმჯდომარე ე. წილოსანი) რაიონში ერთ-ერთი დიდი სასოფლო საბჭოა. იგი აერთიანებს 5 კოლმეურნეობას, რომელთა განკარგულებაშია 60 ჰექტარი სათამბაქოე, ათობით ჰექტარი ვენახის, ასობით ჰექტარი სასიმინდე და საკარტოფილე ნაკვეთები, საკოლმეურნეო ტყეების მასივები და სხვა ბუნებრივი სიმდიდრენი.

სასოფლო საბჭოში შემავალმა კოლმეურნეობებმა გასულ წელს 64 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს ჩააბარეს 70-მდე ტონა ხარისხოვანი თამბაქო.

თამბაქოს ეხვი მოსავლის მოყვანაში განსაკუთრებით ისახელა თავი სოფელ უჩხოს ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე სასოფლო საბჭოს დეპუტატი ზ. შავაძე). აქ საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 20 ცენტნერი ხარისხოვანი თამბაქო. დეპუტატი ზ. შავაძე დიდ ყურადღებას აქცევს საკოლმეურნეო სოფლის კეთილმოწყობასაც. სოფელი ელექტროფიცირებული და რადიოფიცირებულია.

წარმატებით ხელმძღვანელობს სოფელ ძირკვაძეების კრუპსკაიას სახელობის კოლმეურნეობას სასოფლო საბჭოს დეპუტატი ზ. თავართქილაძე. სახელმწიფოსათვის თამბაქოს ჩაბარების გეგმა გასულ წელს კოლმეურნეობამ 200 პროცენტით შეასრულა. კოლმეურნეობა უხვი და მყარი მოსავლის მოყვანისათვის ორი წელია რაიონის გარდამავალ დროშას ინარჩუნებს.

დეპუტატები — რ. და ფ. თავართქილაძეები თავდადებული შრომის მაგალითს იძლევიან, აქტიურ დახმარებას უწევენ კოლმეურნეობის გამგეობას შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და დისციპლინის განმტკიცების საქმეში. კოლმეურნე დეპუტატ ქალს შ. ზოიძეს გასულ წელს გამომუშავებული აქვს 300-მდე შრომადღე.

საკოლმეურნეო დოვლათის ზრდისა და სოფლის კეთილმოწყობისათვის ენერგიულად იბრძვის სოფელ ოქრუაშვილების კოლმეურნეობის თავმჯდომარე დეპუტატი ტ. სოლომონიძე. კოლმეურნეობაში გადაჭარბებით არის შესრულებული მოსავლიანობის დავალებები. სოფელი თითქმის მთლიანად ელექტროფიცირებული და 80 პროცენტით რადიოფიცირებულია. ახლად აგებულია კლუბისა და კანტორის შენობა, გაიხსნა სამკითხველო.

კოლმეურნეები — დეპუტატები ა. შავაძე, ს. სოლომონიძე სოფელში კარგი ავტორიტეტით სარგებლობენ. მათი ინიციატივით სოფელ გორგაძეებში მდინარე აჭარისწყალზე აშენდა სასოფლო ხიდი, რომლითაც ერთმანეთს დაუკავშირდა ორი სოფელი, ხოლო სოფელ დიაკონიძეების სკოლაში გაყვანილ იქნა სასმელი წყალი.

სოფელ დეკანაშვილების მე-18 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის № 5 ბრიგადის ხელმძღვანელი, სასოფლო საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი მ. ჯორბენაძე საქმის ცოდნით უძღვება ბრიგადას. მისი ინიციატივით კოლმეურნეობაში გაყვანილია ელექტროგანათება, მუშაობს რადიოც.

საზოგადოებრივ საქმიანობაში თაოსნობას იჩენს სასოფლო საბჭოს დეპუტატი, სახალხო განათლების მუდმივი კომისიის თავმჯდომარე რ. დეკანაძე. იგი ხშირად ამზადებს სასოფლო საბჭოს სესიებისა და აღმასკომის სხდომებისათვის სასკოლო მუშაობის აქტუალურ საკითხებს, ყოველმხრივ ზრუნავს [illegible] ასამაღლებლად, ახალი სკოლების ასაშენებლად, არსებული სასკოლო შენობების დასაცავად. მისი ინიციატივით სოფელ შარაულაში აშენდა დაწყებითი სკოლის ახალი შენობა.

ბევრი დეპუტატი და სასოფლო საბჭოს აქტივისტი მოსახლეობაში ფართო სააგიტაციო-მასობრივ მუშაობას ეწევა, კოლმეურნეებს განუმარტავს XIX პარტყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკას, მჭიდროდ რაზმავს სოფლის მშრომელებს სახელმწიფო დავალებათა ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

მოწინავე მასწავლებელ ქალს, დეპუტატ ნ. შავაძეს ხშირად ნახავთ კოლმეურნეებთან, როგორც მინდვრებსა და პლანტაციებში, ისე სახლებში. იგი კითხულობს მოხსენებებს, მართავს საუბრებს, რომლის თემებს კარგად უკავშირებს კოლმეურნეობის საბრძოლო კონკრეტულ ამოცანებს.

სასოფლო საბჭოს აღმასკომი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს საორგანიზაციო-მასობრივი მუშაობის მაღალ დონეზე დაყენებას. აქ სისტემატურად ეწყობა სესიები და აღმასკომის სხდომები. გასულ წელს აღმასკომის სხდომა მოწვეულია 21-ჯერ.

სასოფლო საბჭოს მუშაობა განსაკუთრებით გააქტიურდა ამ დღეებში, როცა ქალაქისა და სოფლის მშრომელები დიდი აღმავლობით ემზადებიან ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის.

დ. პაიჭაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

დეპუტატები ანგარიშს აბარებენ ამომრჩევლებს

დედაქალაქის ბერიას რაიონში ხშირად ეწყობა დეპუტატების შეხვედრები ამომრჩევლებთან. მარტო უკანასკნელი ხუთი თვის მანძილზე 55 დეპუტატი შეხვდა თავის ამომრჩევლებს, ჩააბარა მათ ანგარიში თავისი მუშაობის შესახებ. განსაკუთრებით გაცხოველდა ასეთი შეხვედრები ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების დღეებში.

დეპუტატების მიერ ანგარიშის ჩაბარების დროს ამომრჩევლები აკრიტიკებენ რაისაბჭოს აღმასკომის განყოფილებათა მუშაობას, აყენებენ მრავალ წინადადებას მოსახლეობის კომუნალური მომსახურების გაუმჯობესების, საბჭოთა კულტურული ვაჭრობის წესების გატარების, ეზოებში, ქუჩებში და საზოგადოებრივ ადგილებში სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვის და სხვათა შესახებ.

ამას წინათ მოეწყო რაისაბჭოს დეპუტატის ვ. ჯიქიძის შეხვედრა ამომრჩევლებთან. ანგარიშის მოსმენის შემდეგ ამომრჩევლებმა ილაპარაკეს იმის შესახებ, რომ რაისაბჭოს აღმასკომის კომუნალური განყოფილება ნაკლებ ყურადღებას უთმობს ბინების რემონტის ხარისხს, წყალსადენის საექსპლოატაციო კანტორის მუშაკების დაუდევრობით კიროვისა და გრიბოედოვის ქუჩებზე მცხოვრებთათვის წყალის მიწოდება მოუგვარებელია, გრიბოედოვის ქუჩაზე არ არის პურის სავაჭრო წერტი, წერეთლისა და ლერმონტოვის ქუჩებზე მოუწესრიგებელია ტრანსპორტის მოძრაობა, ცუდად არის განთებული რაიონის განაპირა ქუჩები, რაიონის საბინაო სამმართველო ნაკლებ ყურადღებას აქცევს საცხოვრებელი სახლების შეკეთებას, რაიონის სავაჭრო მაღაზიებში ხშირად სრული ასორტიმენტით არა აქვთ ფეხსაცმელი, ტანსაცმელი და სხვ.

ანგარიში ჩააბარეს დეპუტატებმა პ. კიკნაძემ და ს. კვახაძემ. ამომრჩევლებმა ილაპარაკეს ნაკლოვანებებზე, და მოითხოვეს, რომ უახლოეს ხანში გაიხსნას ხილ-ბოსტნეულისა და ხორცის სავაჭრო წერტები დავითაშვილის ქუჩაზე, ამასთან მუშა-მოსამსახურეთა უკეთ მომსახურებისათვის პურის სავაჭრო წერტებმა იმუშაონ დილის 8 საათიდან, ნაცვლად 9 საათისა. მთელი რიგი წინადადებები წამოაყენეს ამომრჩევლებმა აგრეთვე ი. მეგრელიძესთან, ს. ელისაშვილთან და სხვა დეპუტატებთან შეხვედრისას. სახელდობრ, ამ შეხვედრების დროს აღინიშნა საგზაო სამუშაოების გაჭიანურება, ზოგიერთი სახლმართველის გულგრილობა მუშაობაში, არასაკმაო ყურადღება მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობისადმი, სუსტი კონტროლი და მეთვალყურეობა მოსწავლეთა მიმართ სკოლის გარეთ. განსაკუთრებით გააკრიტიკეს რაისაბჭოს აღმასკომის სავაჭრო განყოფილება.

ასრულებენ რა ამომრჩეველთა ნებასურვილს, რაისაბჭოს დეპუტატები სისტემატურად აყენებენ ამომრჩეველთა წინადადებებს რაიაღმასკომის სხდომებზე. აღმასკომი ახდენს ამ წინადადებათა შესწავლას და მათ განსახორციელებლად სახავს პრაქტიკულ ღონისძიებებს. ამომრჩეველთა წინადადებების დიდი უმრავლესობა განხორციელებულია.

მაგრამ რაისაბჭოს აღმასკომს დეპუტატების ანგარიშის ორგანიზაციის საქმეში აქვს ნაკლოვანებანიც. დღემდე ამომრჩეველებისათვის ანგარიში არ ჩაუბარებია 48 დეპუტატს, ამომრჩეველთა ზოგიერთი წინადადების განხორციელება ჭიანურდება.

რაისაბჭოს აღმასკომმა მომავალში უფრო მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს დეპუტატებისა და ამომრჩეველთა საქმიანი წინადადებების შესრულებას.

ი. მოლოდინი,
შ. კოპალიანი.

ადამიანები და მათი საქმეები

მეცხვარე ნოვაზორის გზა

ბავშვს დიდი ხანია თვალი მთებისაკენ ეჭირა — ცადაზიდული გოლიათები იზიდავდა, ყველაზე უფრო კი ალპურ მდელოზე გაშლილი ცხვრის ფარისა და მოკუნტრუშე ბატკნების ნახვა სურდა. და აი კიდეც აუსრულდა ოცნება: იგი გამოცდილ მეცხვარე მამასთან ერთად მთათუშეთის მთებს ესტუმრა.

მაშინ შვიდი წლისა იყო ვანო. ცეროდენა ბიჭი კომბლით ხელში ფარას ამოუდგა გვერდში და, უფროსების წაბაძვით, წარბშეჭმუხვნილი ათვალიერებდა მიდამოს — მგელი არსაიდან წამოგვეპაროსო; მეცხვარეებთან ერთად გულმოდგინედ უვლიდა პირუტყვს.

— კაცმა რომ თქვას, ალექსი, — ხშირად ეუბნებოდა ვანოს მამას ხანდაზმული მწყემსი გიორგი, — საგინებელი არ არის ეს შენი პატარა ვაჟკაცი. დაკვირვებული ბიჭია, შრომა უყვარს, აქედანვე მომავალზე ფიქრობს... ხშირად, ძალიან ხშირად, ათასნაირ შეკითხვებს იძლევა ცხვრის შესახებ. გულდასმით უსმენს მწყემსებს. ეგრძნობ, მოსწონს ჩვენი საქმე. დინჯი და კეთილი ხასიათის არის. ყველას თავი შეგვაყვარა.

ალექსის კმაყოფილების ღიმილი გადაჭკრავდა ხოლმე სახეზე, ალერსიანად გააყოლებდა თვალს შორიახლო მიმავალ პატარა ვანოს.

* * *

გადიოდა წლები... სწავლისაგან თავისუფალ დროს ვანო ხაძოვრებზე ატარებდა, ჩინებულად შეისწავლა ცხვრის მოვლა-პატრონობა.

1923 წელს ვანო ალექსის-ძე ბაძოშვილმა წარმატებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრო-ზოოტექნიკური ფაკულტეტი, ხოლო 1925 წელს წავიდა მოსკოვს, მეცხვარეობის საბონიტურო უმაღლეს კურსებზე. აქ მას ასწავლიდნენ ჩვენი ქვეყნის სახელგანთქმული მეცხოველეები. ორი წლის გულდასმითი მეცადინეობის შემდეგ მან კარგი წარმატებით დაამთავრა კურსები და დაუბრუნდა თავის საყვარელ საქმეს — მეცხვარეობას.

მოვალეობისადმი გულისხმიერი დამოკიდებულებით, ბეჯითი შრომით ახალგაზრდა ზოოტექნიკოსმა მალე დიდი პატივისცემა დაიმსახურა მწყემსებს შორის. უმაღლეს სასწავლებელში მიღებულ ცოდნას იგი უნარიანად იყენებდა პრაქტიკული მუშაობის დროს, საქმეს ღრმად უკვირდებოდა, შეუნელებლად ზრუნავდა თავისი და თანამოსაქმეთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. ძალიან ხშირად ახალგაზრდა ზოოტექნიკოსი მეცხვარეებს მათთვის საინტერესო თემებზე ესაუბრებოდა, აძლევდა რჩევა-დარიგებას:

— მელაქო, ჩემო! გუშინ დავათვალიერე შენი ფერმის საძოვრები. აქ დიდი რაოდენობით არის ეკალღიჭა, თუ მისგან არ გაწმინდე საძოვარი, შემცირდება მატყლის გამოსავალი და მისი ხარისხიც დაეცემა.

მეცხვარეებს სჯეროდათ ვანოს სიტყვა, რადგან არაერთხელ დარწმუნდნენ მისი რჩევის სარგებლიანობაში.

— რა კარგად იცის ცხვრის ასავალ-დასავალი მაგ დალოცვილმა!.. — გულწრფელად ამბობდნენ მწყემსები.

თავდადებით მუშაობდა ვანო. მან კარგად იცოდა, რომ ჩვენი ქვეყნის ადამიანი თავისი დიადი საშობლოსადმი პატრიოტობას ავლენს შეუპოვარი შრომით. სწორედ მასში ვლინდება ადამიანის ხასიათი, ნოვატორობა, მიზანსწრაფვა, ნებისყოფა...

გაზაფხულის თბილი დღე იყო. ვანო ფერდობზე იდგა და ჩაფიქრებული შესცქეროდა, თუ როგორ ხარბად და მადიანად შეექცეოდნენ მაღლიან ბალახს უხეშმატყლიანი პატარა ტანის თუშური ცხვრები. მოახლოებულმა ამხანაგების ჯგუფმა დაარღვია ვანოს მყუდროება.

— გამარჯვება, ვანო!

ვანო ფიქრისაგან გამოერკვა, თავაზიანად უპასუხა ახალმოსულთ:

— გაგიმარჯოთ, ბიჭებო!

— ამ ბოლო დროს ცოტა არ იყოს მოუსვენრობას გამჩნევთ, რაღაც გაწუხებს, რაშია საქმე? — მიმართა ერთმა ამხანაგმა.

— გეტყვით, მეგობრებო, გეტყვით! ერთ

ვ. ბაძოშვილი.

★

მეტად დიდ და სასარგებლო საქმეს მინდა მოვიდო ხელი, — გულდაჯერებით თქვა ვანომ. იგი ლაპარაკობდა დინჯად, აუღელვებლად.

— თქვენ კარგად იცით, რომ ჩვენს მსუბუქ მრეწველობას დიდი რაოდენობით ესაჭიროება ძვირფასი ნედლეული — ნაზი ან ნახევრადნაზი მატყლი. ჩვენს მეცხვარეობაში ძირითად ჯიშს თუშური ცხვარი წარმოადგენს. საზაფხულო საძოვრები ზღვის დონედან დაახლოებით 3.000 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს, ხოლო საზამთრო — 900 მეტრამდე. ამ ორ საძოვარს შუა მანძილი 500 კილომეტრზე მეტია. ჩვენი ცხვარი ორთვენახევარს მოგზაურობაში ატარებს და სარგებლობს გარდამავალი დაბალხარისხოვანი საძოვრებით. ამ მდგომარეობას თუშური ცხვარი კარგად ეგუება. მას შეუძლია ხანგრძლივი და დაუღალავი სიარული. გარდა ამისა, იგი წყურვილს შედარებით ადვილად იტანს. თუშური ცხვრის ხორცი განთქმულია გემოთი, ხოლო მისი რძისაგან შესანიშნავი ხარისხის ყველს ამზადებენ. თუშურ ცხვარს ბევრი დადებითი ღირსება აქვს. მაგრამ, სამწუხაროდ, დაბალია მისი მატყლის გამოსავლიანობა და ხარისხი. მატყლის ძირითადი ნაკლი ის არის, რომ იგი უხეშია და არაერთგვაროვანი. კანძი თივთიკის ნაზ ბოჭკოებს ვარდა შეიცავს მქისე ბეწვს და მას მცირე წონა აქვს.

მიზნად დავისახე შევქმნა ახალი ქართული ცხვარი, რომელსაც შენარჩუნებული ექნება თუშური ცხვრის ყველა ძვირფასი ნიშანთვისება და ამასთან ნაზსა და ერთგვაროვან მატყლს მოგვცემს.

ამხანაგები გულდასმით უსმენდნენ ვანოს, და როდესაც მან საუბარი დაამთავრა, ერთმა თქვა:

— ბევრი ქართველი ზოოტექნიკოსის საუკეთესო ოცნება იყო და არის ცხვრის ახალი ჯიშის შექმნა, რომელსაც კარგ ხორცსა, რძესა, დუმასა და ამტანობასთან ერთად ერთგვაროვანი ნაზი მატყლი ექნება. აბა შენ იცი, ვანო, თუ მიაღწევ წარმატებას. თუ რაიმეში ჩვენი დახმარება დაგჭირდეს, ძალას არ დავიშურებთ!

ვანო ბაძოშვილი შეუდგა დიდ შემოქმედებითს საქმიანობას, რომელიც შრომითი გმირობის ნიმუში გახდა.

1938 წელს ელდარის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობაში ვანომ გამოჰყო საცდელი ფარა, რომელიც შედგებოდა თუშურ ცხვართან ნაზმატყლიანი რამბულიეს ყოჩების შეჯვარების შედეგად მიღებული დედა-ცხვრებისაგან. გულდასმით შეარჩია ნაზმატყლიანი მერინოსის ჯიშის ყოჩები და მათთან ზემოაღნიშნული დედაცხვრების შეჯვარების შედეგად მეტისების ახალი თაობა მიიღო. აქედან დამატებით გამოჰყო კიდევ ახალი ფარა.

საცდელ ფარებში წარმოებდა ყველა მოზარდის მკაცრი წუნდება, რომელიც სასურველი ტიპიდან გადაიხრებოდა. სუსტი ან მეტად ტლანქი აგებულების, კუდში ცხიმის დაგროვების სუსტი უნარის მქონე ცხოველები წუნდებულად ითვლებოდნენ.

თვითეულ ძირითად ყოჩთან, მიწი მემკვიდრული თვისებების შესაბამისად, შესაჯვარებლად იყო შერჩეული დედაცხვრები.

ფენოტიპების მიხედვით საუკეთესოთა რიცხვიდან გამოიყოფოდა მოზარდის ახალი ჯგუფი და ყოველ წელს წარმოებდა მისი გამოცდა მემკვიდრული თვისებების მხრივ. ამ გზით ხდებოდა მწარმოებლების შევსება იმ ყოჩებით, რომელთა საჯიშე ღირსებანი გამოვლინებული იყო.

საცდელ ფარაში წარმოებდა ინდივიდუალური საჯიშე აღრიცხვა, ჩანაწერები, ზუსტად ტარდებოდა ნერბვისა და მისი შედეგების ინდივიდუალური აღრიცხვა.

ასეთი სისტემის გამოყენებამ უზრუნველყო საცდელი ფერმის თვითეული ცხოველის წარმოშობისა და პროდუქტიულობის შესახებ ზუსტი მონაცემების მიღება, რაც ცხოველთა არჩევისა და შერჩევის სწორი ორგანიზაციის საუკეთესო საშუალებაა.

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა იმას, რომ სასელექციო მუშაობა წარმოებულიყო თუშური ცხვრის კვებისა და შენახვის ტიპობრივ პირობებში.

* * *

გასული წლის აპრილში სასიამოვნო, თბილი ამინდები იდგა.

ელდარის საბჭოთა მეურნეობაში უკვე იგრძნობოდა გაზაფხული: მწვანით შემოსილიყო მიდამო. ის იყო ვანო ბაძოშვილი მეურნეობის კანტორაში შევიდა, რომ ტელეფონით შეატყობინეს, მოსკოვიდან სტუმრები ჩამოვლენო.

რამდენიმე დღის შემდეგ მეურნეობის კანტორასთან მანქანა გაჩერდა. მანქანიდან ჩამოვიდა ხანში შესული კაცი და დინჯი ნაბიჯით გაემართა იქვე ჯგუფად მდგომი ხალხისაკენ. ღიმილით მიესალმა ვანოს და გაუწოდა ორივე ხელი. ეს იყო აკადემიკოსი ლ. გრებენი. მას თან მოჰყვნენ სოფლის მეურნეობის სპეციალისტები.

— ჩვენ ჩამოვედით იმისათვის, რომ შევამოწმოთ და დავადასტუროთ ახლად გამოყვანილი ქართული ცხვრის ღირსებები, — მიმართა აკადემიკოსმა ნოვატორს.

ვანოს ხახე უბრწყინავდა, სიხარულს მოეცვა იგი, აღელვებული უსმენდა აკადემიკოსს.

...სელექციონერმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. ამხ. ბაძოშვილმა გამოიყვანა ახალი ნაზმატყლიანი დუმიანი ჯიშის ცხვარი.

ამით ის დიდ სამსახურს უწევს ჩვენს ქვეყანას მეცხვარეობის განვითარების საქმეში.

ნოვატორი ბაძოშვილი ეკუთვნის იმ ადამიანთა რიცხვს, რომლებიც მთელ თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას წარმართავენ პარტიის XIX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის.

შ. ივარდავა.

ტრაქტორების საზამთრო რემონტი

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობებით, 10 იანვრისათვის მტს-ებში ტრაქტორების საზამთრო რემონტის გეგმა შესრულებულია 53,7 პროცენტით, აქედან კაპიტალურად შეკეთებისა — 51,6 პროცენტით, მიმდინარე შეკეთებისა — 55,0 პროცენტით.

თბილისის ოლქში ტრაქტორების რემონტის წლიური დავალება 49,9 პროცენტით არის შესრულებული, ქუთაისის ოლქში — 75,7 პროცენტით, აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში — 66,4, აჭარის ასს რესპუბლიკაში — 50, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 28,2 პროცენტით.

მოწინავე კოლმეურნის გეგმები

ცხაკაიას რაიონში ფართოდ არის ცნობილი თეკლათელი მერგოლურის ბ. გვიჩიას სახელი. თორმეტ წელზე მეტია, რაც მას სისტემატურად მოჰყავს სიმინდის უხვი მოსავალი. ამ ხნის განმავლობაში მისი რგოლიც მუდამ მოწინავეთა რიგებშია.

რამდენიმე წლის წინათ ბ. გვიჩია გაზეთებიდან გაეცნო იმ საინტერესო შეჯიბრების ამბავს, რომელიც გაჩაღდა უკრაინელი კოლმეურნის მ. ოზერნოისა და ქართველი კოლმეურნის, სტალინური პრემიის ლაურეატ ჩ. ქვაჩახიას შორის. მოწინავე მერგოლური, რომელსაც მოსავლელად მიჩენილ თვითეულ ჰექტარზე მაშინ 20-25 ცენტნერი სიმინდი მოჰყავდა, დიდად დაინტერესა ამ შეჯიბრებამ და თვალყურს ადევნებდა მას, შემდეგ იგი პირადად გაეცნო ჩ. ქვაჩახიას მდიდარ გამოცდილებას — იყო იმ დელეგაციის შემადგენლობაში, რომელმაც დაათვალიერა ჩვენს რესპუბლიკაში განთქმული სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა.

ბ. გვიჩიამ ამ კოლმეურნეობაში ბევრი რამ ნახა ახალი, რაც შემდეგ თავის რგოლში დანერგა, ამავე დროს გაითვალისწინა თეკლათის ნიადაგის შემადგენლობა, რელიეფი. მისი პირველი წარმატება საპატიო ნიშნის ორდენით აღინიშნა. შემდეგ წლებში მან ნამდვილი სარეკორდო მოსავალი მიიღო და სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება დაიმსახურა.

წელს ბ. გვიჩიას რგოლი დაამუშავებს 13 ჰექტარ ფართობს, ყანაში საკმაო რაოდენობით შეიტანს ნაკელს და შლამს. პირველ ხვნას დაამთავრებენ ადრე გაზაფხულზე. შემდეგ მოხდება მისი გადახვნა, მესამედ გადახვნისას დაიწყებენ მწკრივად თესვას. თუ ხელსაყრელი ამინდები დაიჭირა, სიმინდი ადრე დაითესება. დიდი ყურადღება მიექცევა წყალსაწრეტი თხრილების გაყვანას. მერგოლური ფიქრობს ყოველ 8-10 მეტრზე ჰქონდეს თითო თხრილი, რომელთა ბოლოები შეერთებული იქნება მაგისტრალურ არხთან. ეს ყანას აარიდებს წყალის დაგუბებას ხშირი ნალექების დროს.

ბ. გვიჩიას გეგმები იმით არის ღირსშესანიშნავი, რომ განზრახულს ის ყოველთვის საქმედ აქცევს. მაგრამ იგი ამით არ კმაყოფილდება. მისი საუკეთესო თვისებაა სხვებისადმი დახმარება, გზების გამონახვა საერთო საქმის აღმავლობის მისაღწევად.

ბ. მილიუტინი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ჩვენი კალენდარი

„ვედომოსტის“ 250 წლისთავი

პრესას რუსეთში დიდი ხნის ისტორია აქვს. ჯერ კიდევ მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში მოსკოვის რუსეთს ჰქონდა თავისებური ხელნაწერი გაზეთი „ვედომოსტი“ — „კურანტის“ სახელწოდებით. გაზეთის დამზადება ევალებოდა ეგრეთწოდებულ საელჩოს უწყებას. მასში ათავსებდნენ უცხოეთის ამბებს, ცნობებს რუსეთის ცხოვრებიდან.

პირველი რუსული ნაბეჭდი გაზეთი — „ვედომოსტი“ — დაარსდა პეტრე პირველის დროს. გაზეთის ბეჭდვა დაიწყო პეტრე პირველის 1702 წლის 15 და 16 დეკემბრის ბრძანების თანახმად.

„ვედომოსტის“ პირველი ნომრები გამოვიდა 16 და 17 დეკემბერს. მაგრამ დაბეჭდილს ჩვენამდე არ მოუღწევიხ, მარტო ხელნაწერებიღა დაცულა.

მხოლოდ 1703 წლის 2 იანვრიდან (ძველი სტილით) დაიწყო „ვედომოსტის“ რეგულარული გამოსვლა.

პირველად გაზეთი იბეჭდებოდა საეკლესიო-სლავური შრიფტით, ხოლო 1715 წლიდან სამოქალაქო შრიფტით. გაზეთის ტირაჟი აღწევდა 150-400 ეგზემპლარს.

პირველად „ვედომოსტი“ მერვედი ფურცლის ოდენა რამდენიმე გვერდისაგან შედგებოდა, შემდეგ გაზეთის მოცულობა თანდათან გაიზარდა და 22 გვერდს მიაღწია. გაზეთი შედგებოდა თითო სვეტად დაბეჭდილი პატარა უსათაურო ცნობებისაგან. გაზეთში მოთავსებული ცნობები ეხებოდა რუსეთის მხედრობის წარმატებებს, ფლოტის განვითარებას, მრეწველობისა და ვაჭრობის გაფართოებას, ახალი საბადოების აღმოჩენას, ფაბრიკა-ქარხნების შენებლობას და ა. შ.

გაზეთის გამოშვების საქმეში მხურვალე მონაწილეობას იღებდა პეტრე პირველი. იგი არ ჩაეფდა და თავისი ხელით ასწორებდა გაზეთისათვის განკუთვნილ მასალებს.

გაზეთის რედაქტირებაში აქტიურად მონაწილეობდნენ იმდროინდელი სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატი თეოდორე გოლოვინი, პირველი რუსი ჟურნალისტები თ. პოლიკარპოვი, ა. მაკაროვი, ბ. ვოლკოვი, ი. სინიავინი და სხვ. საყურადღებოა, რომ გაზეთის ენაში იგრძნობა ხალხური სიტყვიერების გავლენა.

ნ. დობროლიუბოვი, ეხებოდა რა ხალხურობის გავლენას რუსული ლიტერატურის განვითარების საქმეში, წერდა: „...პეტრემ დაინახა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ხალხის განათლებას მთელი სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის... მას განათლების გავრცელების საუკეთესო საშუალებად სამართლიანად მიაჩნდა წიგნები... ის მიხვდა, რომ ხალხის განათლებისათვის ზრუნვისას საჭიროა დავიხმაროთ ცოცხალი დარწმუნება, და ამ დარწმუნებას ავრცელებდა წიგნების საშუალებით... „ვედომოსტში“ რუსებმა პირველად იხილეს სამხედრო და პოლიტიკური ამბების საჯაროდ გამოცხადება“.

„ვედომოსტი“ ისტორიული ამბების საუკეთესო წყაროს წარმოადგენს და დიდ მასალას აძლევს რუსეთის ისტორიკოსებს. გაზეთში გაშუქებულია პოლტავის ბრძოლის ამბავი, მოცემულია ცნობები პეტერბურგის დაარსების შესახებ და სხვ.

ამ გაზეთის ფურცლებზე პირველად წარმოიშვა ჩვენში ფელეტონის, ნარკვევის, ბიბლიოგრაფიის და სხვა სახის ლიტერატურული ჟანრი.

„ვედომოსტი“ გამოდიოდა 24 წლის განმავლობაში. თავისი დამაარსებლის პეტრე პირველის სიკვდილის შემდეგ მან ორ წელიწადს კიდევ იარსება, ხოლო 1728 წლიდან მეცნიერებათა აკადემიას დაევალა გაზეთის გამოცემა და „ვედომოსტმა“ „სანკტპეტერბურგსკიე ვედომოსტის“ სახელწოდებით იწყო გამოსვლა.

250 წელი გვაშორებს „ვედომოსტის“ დაარსების თარიღს. ამ ხნის განმავლობაში რა არ განიცადა პრესამ. მონარქიულ რუსეთში პრესა ცენზურის ძმიმე არტახებით იყო შებოჭილი. მიუხედავად ამ პირობებისა, რუსეთის საუკეთესო პროგრესული მოაზროვნენი რადიშჩევი, დეკაბრისტები, დიდი მოაზროვნე ბელინსკი, გერცენი, რევოლუციური დემოკრატიის ბელადები — ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი, ნეკრასოვი, სალტიკოვ-შჩედრინი და სხვები პრესის საშუალებით ეწეოდნენ პროგრესიული იდეების პროპაგანდას.

კომუნისტური ბეჭდვითი სიტყვა, რომელიც შექმნილია გენიალური ბელადების ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მიერ, უდიდეს როლს ასრულებს კომუნიზმის შენებლობაში. საბჭოთა პრესა გაბედულად ამხილებს ომის გამჩაღებლების აგრესიულ გეგმებს, იბრძვის მშვიდობისათვის, რაზმავს საბჭოთა ადამიანებს თავდადებული შრომისათვის.

ა. გურთიკაშვილი.

თბილისი. პიონერთა სასახლე. ავიამოდელისტთა წრის მეცადინეობაზე.
ფოტო ვ. გინზბურგისა.

მოსწავლეთა საზამთრო არდადეგების დღეებში

გუშინ, 12 იანვარს, რესპუბლიკის სკოლებში საზამთრო არდადეგების შემდეგ განახლდა მეცადინეობა.

შინაარსიანად და მხიარულად გაატარეს ჩვენი რესპუბლიკის მოსწავლეებმა საზამთრო არდადეგების დღეები. ლ. პ. ბერიას სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში, თბილისის მასწავლებლის სახლში, ვოროშილოვის სახელობის კლუბში, ხელოვნების მუშაკთა სახლში და დედაქალაქის თეთქმის ყველა კლუბში მოეწყო საახალწლო ნაძვისხეები.

საქართველოს პროფსაბჭომ ამიერკავკასიის რკინიგზის მხატვრული აღზრდისა და ტექნიკური პროპაგანდის ახალ სახლში მოაწყო საქალაქო ნაძვისხე. საქალაქო ნაძვისხეები მოეწყო აგრეთვე გორში, სუხუმში, ბათუმში, ქუთაისში, სტალინირში, ფოთში, რუსთავში, ტყვარჩელში, ტყიბულში, ჭიათურაში და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში, სადაც მშრომელთა ათასობით ბავშვები გაერთნენ ნაძვისხესთან.

არდადეგების დღეებში დღის წარმოდგენების დროს მოსწავლეებით სავსე იყო თბილისის თეატრები, ცირკი, კინოთეატრების დარბაზები.

პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის გონიერული გართობის კაბინეტი თავის ნორჩ მაყურებლებს უჩვენებდა ფილმებს. ფიზკულტურისა და სპორტის სექციამ მოაწყო სპორტული დღესასწაულები. მოეწყო ექსკურსიები სტალინური მარშრუტით, ორთაჭალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის, ქალაქის სხვა ახალშენებლობებისა და ღირსშესანიშნაობათა დასათვალიერებლად. არდადეგების დღეებში თბილისის საექსკურსიო ბაზის მიერ სხვადასხვა მიმართულებით მოწყობილ ექსკურსიებში მონაწილეობა მიიღო 1.300-მდე მოსწავლემ. მოსწავლეებმა ინახულეს გორში სახლი, სადაც დაიბადა დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი, დაათვალიერეს სტალინის სახელობის სამგორის სარწყავი სისტემა, იყვნენ სტალინის სახელობის რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში.

ექსკურსიებში მონაწილეობას იღებდნენ ჩვენი რესპუბლიკის რაიონებიდან ჩამოსული მოსწავლეები, აგრეთვე მომმე რესპუბლიკების დედაქალაქებიდან ბაქოდან და ერევნიდან ჩამოსული ექსკურსანტები.

მომავალ მეცნიერთა კადრები

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში შეჯამებულია საკანდიდატო მინიმუმის ცალკეულ დისციპლინებში — დიალექტიკურ და ისტორიულ მატერიალიზმში და უცხო ენებში ასპირანტთა გამოცდების შედეგები. გამოცდებმა ცხადყო, რომ მომავალ მეცნიერებს კარგად აქვთ ათვისებული გავლილი მასალა, აგრეთვე ცხადყო მათი მისწრაფება მეცნიერების დაუფლებისადმი. ასპირანტთა დიდმა უმრავლესობამ კარგი შეფასება მიიღო.

ყველა დისციპლინაში ფრიადოსანთა შორის არიან ასპირანტები მაყვალა მირზაშვილი — ენათმეცნიერების ინსტიტუტიდან, თეიმურაზ ტყეშელაშვილი — ექსპერიმენტული ჭირურგიისა და ჰემატოლოგიის ინსტიტუტიდან, ამირან ქარცივაძე — გეოფიზიკის ინსტიტუტიდან, გიორგი მჭედლიშვილი — ფსიქოლოგიის ინსტიტუტიდან, ოთარ ჯიოევი — ფილოსოფიის ინსტიტუტიდან და სხვ.

მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა ბოლო ხანებში გააძლიერა ასპირანტურისადმი ხელმძღვანელობა და დახმარება. ამის შედეგად 1952 წელს საგრძნობლად გაიზარდა იმ ასპირანტთა რიცხვი, რომლებმაც დროზე წარადგინეს სადისერტაციო შრომები. ამ შრომების უმრავლესობამ სათანადო ინსტიტუტების სამეცნიერო საბჭოების მაღალი შეფასება მიიღო.

ვ. მჭედლიშვილმა, რომელმაც 1952 წელს დაამთავრა ასპირანტურა ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტში, იმავე წელს დაიცვა დისერტაცია მოსკოვში თემაზე „თხევადი ფოლადის სილიკომანგანუმებით განქანგვის გავლენა ფოლადის თვისებებზე“. მოსკოვში დაიცვა დისერტაცია აგრეთვე ენერგეტიკის ინსტიტუტის ასპირანტმა ვ. ჭიჭინაძემ თემაზე „ავტომატური ამძრავი ელექტრონული და იონური მართვით“. ორივე შრომამ მაღალი შეფასება მიიღო.

მთელი რიგი მეცნიერი ხელმძღვანელები ყოველმხრივ დახმარებას უწევენ თავიანთ ასპირანტებს, ზრუნავენ მათზე. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევიან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრები ნ. ბერძენიშვილი, ა. ჯანელიძე, ა. ჩიქობავა, წევრი-კორესპონდენტი ე. ხარაძე, პროფესორი მ. მოსტკოვი, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი მ. ვაშაკიძე და სხვები.

კუღუჩის სახლის სცენაზე

ნაყოფიერად მუშაობს თიანეთის კულტურის სახლის დრამატული წრე. შარშან წრემ მაყურებლებს უჩვენა ი. ჭავჭავაძის „ქართლის დედა“ და „კაკო ყაჩაღი“, ა. წერეთლის „პატარა კახი“, ნ. ყაზბეგის „ხევისბერი გოჩა“ და სხვ.

ამ დღეებში დრამატულმა წრემ დადგა ი. ოსაშვილის „ჩაძირული ქვები“. სცენისმოყვარეთა უმრავლესობამ როლები კარგად შეასრულა. მაყურებელთა განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურეს მ. არაბულმა (მირზა), გ. გონჯილაშვილმა (გაიანე), ა. აბრამიშვილმა (შეკრი) და ვ. მაჩურიშვილმა (გოგიჩა).

ამკამად დრამატული წრე დასადგმელად ამზადებს ა. დევიძის პიესას „ზღვარი“.

ა. ოგბაიძე.

სვეტლინის ხეივანი

27 სექტემბერს ბერლინის მოსახლეობამ შტრაუსბერგერ პლატცის მოედანზე იდღესასწაულა სტალინის ხეივნის გახსნა. ამ დღისათვის აქ ძირითადად დამთავრებული იყო ყველა სამშენებლო სამუშაო, რაც ბერლინის აღდგენის ეროვნული პროგრამით დასახული იყო 1952 წლისათვის. ახალი ექვს-შვიდსართულიანი საცხოვრებელი სახლები. აშენდა სტალინის ხეივნის ორივე მხარეს შტრაუსბერგერ პლატცის მოედნიდან ბერზარინის ქუჩამდე თითქმის ორ კილომეტრ მანძილზე.

1952 წლის 21 დეკემბერს, ი. ბ. სტალინის დაბადების დღეს, 1.148 ბინა ამ სახლებში გადაეცათ მშრომელებს.

ბერლინის მრავალ ათას მცხოვრებს, შეიძლება ითქვას, არასოდეს ისე ღრმად არ უგრძვნიათ, როგორც სწორედ ამ დღეს, თუ რა ძლიერ უყვართ მათ ბერლინი, რა მჭიდროდ არიან დაკავშირებული მასთან. ამავე დროს მათ ცხადყვეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი გაიმარჯვონ ბერლინის ერთიანობისათვის, გერმანიის ერთიანობისათვის ბრძოლაში.

როცა 1951 წლის ნოემბერში გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა წინადადება გერმანიის დედაქალაქის აღდგენის შესახებ, თავის შეკითხვაზე: „კარგი იქნება თუ არა ეს?“ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ასეთი ათასობით მშრომელთა ერთსულოვანი პასუხი: „ეს საუცხოო იქნება!“. უამრავი წერილი, დებატში და ვალდებულებანი მოწმობდნენ მთელი გერმანიის მცხოვრებთა მტკიცე გადწყვეტილებას შექმნან მშვენიერი, მშვიდობიანი მომავალი. ადამიანები, რომლებიც ჯერ კიდევ რამდენიმე კვირის წინათ კითხულობდნენ: „მშვიდობისათვის ბრძოლა? კარგი. მაგრამ, კონკრეტულად გვითხარით, რა და როგორ უნდა ვაკეთოთ?“, ახლა გულმხურვალედ შეუდგნენ საქმეს.

„მშენებლობის ენთუზიაზმი მოიდება ადამიანებს“, — ითვალისწინებდა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, როცა აყენებდა თავის წინადადებას.

რა მალე იქცა ეს სიტყვები ცოცხალ რეალობად! ბერლინის დემოკრატიული სექტორის მოსახლეობამ ერთსულოვნად მოჰკიდა ხელი წერაქვებსა და ნიჩბებს. ნანგრევებით ჩახერგილ უბნებზე ზედიზედ მიდიოდნენ მუშათა ცალები, რათა გაეწმინდათ ისინი ნანგრევებისაგან და შეეგროვებინათ იქ ყველაფერი, რაც შეიძლება გამოდგეს მშენებლობისათვის: რკინა, ფერადი ლითონები, აგური. ახლა ბერლინის უკვე ბევრი მცხოვრები სიამაყით ატარებს ოქროს ნიშნებს. ეს არის ჯილდო მშენებლობაზე ას ცვლაში მუშაობისათვის. ისინი ამაყობენ თავიანთი წარმატებებით.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ყოველი მშრომელი ისწრაფვის შეიტანოს თავისი წვლილი ბერლინის მშენებლობის საქმეში. და ეს მცირე წვლილი როდია. ჩვენს ფოლადსამსხმელო ქარხანაში მოდიოდა მთელი შემადგენლობები, რომლებიც დატვირთული იყო ნანგრევებიდან ამოღებული რკინის ჯართით. ეს შემადგენლობები ბერლინში ბრუნდებოდნენ მზა ფოლადითა და საარმატურო რკინით დატვირთულნი. მეფოლადეები და მვალცავები ნებაყოფლობითს დამკვრელ ცვლებში ნორმის ზევით ადნობდნენ და გლინავდნენ ამ ფოლადს

იარაღებს, ცემენტს, კირს, აგურს, მინას, რელსებს—ყველაფერს, რაც კი საჭირო იყო სტალინის ხეივნის მშენებლობისათვის, რესპუბლიკა იძლეოდა გეგმის ზევით. ბერლინისაკენ ყოველდღე მიდიოდა შემადგენლობები ამ საჩუქრებით, რომლებიც მკაფიოდ მოწმობდნენ გერმანელების სიყვარულს თავიანთი დედაქალაქისადმი. საკმარისია ითქვას, რომ მარტო ნისკის რაიონიდან — ოდერნოისეს საზღვარზე, მშვიდობის საზღვარზე მდებარე მცირე რაიონიდან, უკვე მოვიდა 7 სატვირთო შემადგენლობა, დატვირთული სულ სხვადასხვა იარაღებითა და სამშენებლო მოწყობილობით — შემლესავის ჩაქუჩით დაწყებული და ამწით დამთავრებული.

გლეხები უსასყიდლოდ აწვდიდნენ მშენებლობას ხე-ტყეს და მშენებლების საჩუქრად მოჰქონდათ პროდუქტებით სავსე კალათები.

აღდგენის ეროვნული პროგრამა დასავლეთ გერმანიისა და დასავლეთ ბერლინის მოსახლეობისთვისაც მძლავრი ფაქტორი გახდა მის ბრძოლაში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

1952 წლის 3 თებერვალს პრემიერ-მინისტრმა ოტო გროტევოლმა ჩადო პირველი ქვა ახალ ბერლინის პირველი შენობის საძირკველში. რამდენიმე კვირის შემდეგ კი აქ უკვე აღმართული იყო კედლები, რაც განამტკიცებდა ბერლინელთა რწმენას, რომ ამ ადგილზე მალე აღიმართებოდა დიდ ნაგებობათა ვრცელი უბნები.

სტალინის ხეივანი მშვიდობისათვის ბრძოლის თავისებური ასპარეზი გახდა. აზრდებოდა სახლების კედლები, იზრდებოდნენ ადამიანები, რომლებიც ამ კედლებს აშენებდნენ. ისინი ეჩვეოდნენ თავიანთი ძალებისადმი რწმენას, საზოგადოებისათვის მუშაობა უნერგავდა მათ ახალ სოციალისტურ შეგნებას.

პირველი დღეებიდანვე სტალინის ხეივნის მშენებლობაზე დაიწყო ფართო, გადამწყვეტი ბრძოლა შრომის ახალი მეთოდების დანერგვისათვის. სძლევდნენ რა მრავალსაუკუნოვან ჩვევებს, ბერლინელი მშენებლები ცდილობდნენ ემუშავნათ ახლებურად, სოციალისტურად. ამაში მათ ფასდაუდებელი დახმარება გაუწია საბჭოთა და პოლონელი კალატოზების გამოცდილებამ, რომლებიც თავიანთ გერმანელ ამხანაგებს სიხარულით ასწავლიდნენ სტახანოვური ოსტატობის ყველაზე სრულყოფილ მეთოდებს. „მოსკოვურმა“ და „ვარშავულმა“ ტემპებმა სტალინის ხეივნის მშენებლობაზე „ბერლინური“ ტემპები წარმოშვა. უფრო სწრაფად, უფრო კარგად, უფრო იაფად მუშაობისაკენ მოწოდება მშენებელთა დევიზი გახდა. ბერლინელი მშენებლები ეუფლებოდნენ ტექნიკას, თავს ანებებდნენ მოძველებულ, დრომოჭმულ ხერხებს. სოციალისტური შეჯიბრების მსვლელობაში სწრაფად ვითარდებოდა ახალი ტალანტები, რომლებმაც დიდად წასწიეს წინ სამშენებლო ტექნიკის განვითარება, დაჩქარეს მუშაობის საერთო ტემპი.

„სტალინის ხეივნის წითელი დროშისათვის“ მასობრივმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ ყველა ბერლინელი გაიტაცა. მოსახლეობა დაძაბულად ადევნებდა თვალს პრესის ყოველდღიურ ცნობებს იმის შესახებ, თუ დღეს ვინ არის სტალინის ხეივნის საუკეთესო კალატოზი. მათ შორის აღმოჩნდებოდნენ ხოლმე ისეთებიც კი, რომლებიც ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინათ შრომის ახალი მეთოდების გაგონებაზეც ბრაზობდნენ, ახლა კი, შრომის უკეთესი ორგანიზაციის დროს, შვიდ-ათ ნორმას ასრულებდნენ.

ბერლინელმა მშენებლებმა მსოფლიოს უჩვენეს თავიანთი სახე — კლასობრივად შეგნებული მუშების, ჭეშმარიტი პატრიოტების სახე. მათ შესწორებები შეჰქონდათ მშენებლობის ხელმძღვანელობის მუშაობაში, რჩევითა და კრიტიკით ეხმარებოდნენ ჩვენს არქიტექტორებს, ივითარებდნენ მთელი სამუშაოსათვის პასუხისმგებლობის გრძნობას.

თავიანთი მშენებლობისადმი სიყვარულთან, თავიანთი მიღწევების გამო სიამაყესთან ერთად იზრდებოდა მათი მზადყოფნა დაიცვან ის, რასაც ქმნიან. მშენებლობის ხარაჩოებზე გაკრული იყო გამაფრთხილებელი პლაკატები: „ვაი იმას, ვინც გაბედავს ხელყოს სტალინის ხეივანი!“.

ასეულ ათასობით ადამიანი ნახულობდა სტალინის ხეივანს. აქ მოდიოდნენ გერმანიის ყველა კუთხიდან. შესანიშნავ მშენებლობებს რომ ხედავდნენ, მშენებელთა მგზნებარე შრომას რომ აკვირდებოდნენ, ბევრს თვალი ეხილებოდა. რეფორმისტული პროფკავშირის ერთმა აქტივისტმა თქვა: „მე ვნახე ბერლინის მზიური მხარე“. ეს აქტივისტი ჩამოსულიყო დასავლეთ ბერლინიდან, იმ ნაწილიდან, რომლის მმართველები ცდილობენ მიბაძონ ყველაზე უარესს, რაც კი ამერიკაში არის. დასავლეთ ბერლინშიც აშენებენ, მაგრამ აშენებენ ყაზარმებსა და ბანკირთა კანტორებს, მაშინ როცა მუშები ქოხმახებსა და ნანგრევების სარდაფებში ცხოვრობენ.

ბოი-სკაუტთა დასავლეთ გერმანიის ახალგაზრდული ორგანიზაციის დელეგაციამ ერთ-ერთ ახალგაზრდულ მშენებლობაზე შეგირდებს გაუცხადა: „დიახ, ახლა გვწამს თქვენი ღონისძიება. ახლა ვიცით, რომ თქვენ გულწრფელად იბრძვით ომის წინააღმდეგ. ჩვენ აგრეთვე გვესმის, რომ თქვენ ფხიზლად უნდა იყოთ, რადგან მართლაც გაქვთ, რაც უნდა დაიცვათ“.

ბერლინის დემოკრატიული სექტორის მცხოვრებლები კვირადღეს მთელი ოჯახებით მიდიან სტალინის ხეივანთან, აღტაცებით უყურებენ, შეჰხარიან, ამაყობენ მით. არაერთ დედას უთქვამს თავისი შვილისათვის: „შეხედე, როცა შენ დიდი გახდები, მთელი ბერლინი ასეთი მშვენიერი იქნება“. აქ უკვე ბინავდებიან მუშები თავიანთი ოჯახებით, აქტივისტები და ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები. ისინი იცხოვრებენ ნათელ, სუფთა, კულტურულად მოწყობილ ბინებში. დამახასიათებელია, რომ ბინის ქირა აქ შეადგენს 90 პფენიგს კვადრატულ მეტრში, მაშინ როცა დასავლეთ ბერლინში ერთიორად მეტს იხდიან.

სტალინის ხეივანი გერმანიის ყველაზე დიდებული და ლამაზი ქუჩა იქნება. თითქმის 100 მალაზია, რომლებიც ამ ქუჩაზეა, იმის მაჩვენებელი იქნება, რომ იზრდება რესპუბლიკის კეთილდღეობა.

და იმ დროს, როცა შტრაუსბერგერ პლატცის მოედანი ნათურებით გაჩირაღდნდება, უკვე დადებული იქნება პირველი ქვა ბერლინის აღდგენის 1953 წლის ეროვნული პროგრამის შესასრულებლად. როგორც ყოველთვის, როცა ჩვენი ადამიანები იკრიბებიან, რათა დაიწყონ ან დაამთავრონ ახალი საქმე, ისინი სიყვარულითა და უდიდესი მადლობით მოიგონებენ ადამიანს, რომლის სახელსაც ატარებს გერმანიის პირველი სოციალისტური ქუჩა, — იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს.

მარგოტ პფანშტილი.

ქ. ბერლინი, 1952 წ. დეკემბერი.
გაზეთი „მტკიცე მშვიდობისათვის, სახალხო დემოკრატიისათვის!“.

სრული წესრიგისათვის კავშირგაბმულობის ორგანიზაციის მუშაობაში

საპატიო და პასუხსაგები საქმე აქვთ დაკისრებული „სოიუზპეჩატის“ მუშაკებს, ფოსტალიონებს, კავშირგაბმულობის მუშაკთა დიდ არმიას.

მიუხედავად ერთგვარი მიღწევებისა, მათ მუშაობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი. ხშირია შემთხვევები, როცა კიოსკებში ჟურნალ-გაზეთების გამყიდველები ვაჭრობის წესებს ამახინჯებენ. „სოიუზპეჩატის“ № 1 კიოსკში მომუშავე შენგელია სისტემატურად მალავდა ჟურნალ-გაზეთებს თავისიანებისათვის. დამნაშავეს მოხსნის ნაცვლად საყვედური აკმარეს.

საფოსტო განყოფილებები აღრესატებს დაგვიანებით აწვდიან ჟურნალ-გაზეთებს. ხშირად იკარგება გაზეთები, წერილები. 30-ე საფოსტო განყოფილების ფოსტალიონი მ. ბაბაჯანოვა სისტემატურად კარგავს გაზეთებს, მან მოქალაქე ნ. ჯავრიშვილს (წყნეთის გზატკეცილი № 5) 4, 5 დეკემბრის გაზეთი „ზარია ვოსტოკა“ და 2, 3, 4, 5 დეკემბრის „პრავდა“ არ ჩააბარა. მ. ბაბაჯანოვას ამისათვის მხოლოდ საყვედური გამოუცხადეს! მე-5 საფოსტო განყოფილების ფოსტალიონი ა. ნოვრუზოვი გაზეთებს აკლებს და სისტემატურად დაგვიანებით აწვდის ხელისმომწერლებს. კავშირგაბმულობის მე-9 განყოფილების მოლარე მ. კორნეევა ცუდად ეპყრობა მომხმარებლებს.

გასული წლის 22 ნოემბერს თბილისის ფოსტამტის ფოსტალიონმა ტ. ანდრიასოვამ, რომელიც ფოსტას ახლდა, თბილისი-გორდაბანი-რუსთავის გზაზე დაკარგა აზერბაიჯანიდან გორდაბანში გაგზავნილი ამანათი. ასევე ფოსტალიონმა ლ. ჩოხელმა დაკარგა კუიბიშევიდან ავჭალის ფოლად-თუჯის სამსხმელო ქარხნის მისამართით გაგზავნილი ამანათი.

კავშირგაბმულობის ორგანოები ასეთი ფაქტების გამო გადამჭრელ ზომებს არ იღებენ. ამიტომ ნაკლოვანებები კვლავ გრძელდება. 13 დეკემბერს ქუთაისის საოლქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის განყოფილებამ წერილი გაუგზავნა ფოთის ქალაქის ვაჭრობის განყოფილებას. წერილი, ნაცვლად ფოთისა, თბილისის საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის განყოფილებაში მიიღეს. ლენინგორის რაიონის სოფელ უანჩაველთში მოქალაქე გ. ხუბულაშვილის სახელზე 6 სექტემბერს გაგზავნილი დეპეშა 9 სექტემბერს მიიღეს, ხოლო 28 აგვისტოს გაგზავნილი დეპეშა დღესაც არ მიუღიათ. მოქალაქე ჩერეპანოვის სახელზე გაგზავნილი დაზღვეული წერილი გამრჩევ საამქროში აგენტ მ. კაზაროვამ დაკარგა.

ყორესის ქუჩის № 30 სახლში მცხოვრებ მოქალაქე კოჩარიანის სახელზე გაგზავნილ დაზღვეულ წერილზე ადრესატის ნაცვლად ხელი მოაწერა ფოსტალიონმა ქ. ალიოხინამ, როცა კოჩარიანმა წერილი მოიკითხა, უთხრეს: ხელი მოწერილი გაქვთ, წერილიც მიღებული გექნებათო.

ჟურნალ-გაზეთების დროულად მიწოდებას ხელს უშლის ის, რომ გადასაზიდად გამოყოფილი ავტომანქანები საფოსტო განყოფილებაში დიდი დაგვიანებით მიდის. მაგალითად, მე-5 საფოსტო განყოფილებაში „სოიუზპეჩატიდან“ ფოსტა 9 და 11 დეკემბერს, ნაცვლად 16 საათისა, 18 საათზე მივიდა, რის გამო საფოსტო კორესპონდენციები და ჟურნალ-გაზეთები ადრესატებს გვიან ჩაბარდა. აღნიშნული ფაქტები იმითაც არის გამოწვეული, რომ კავშირგაბმულობის ზოგიერთი მუშაკი დროულად, ადგილზე არ ამოწმებს განყოფილებათა მუშაობას, არ უწევს მათ ქმედით დახმარებას, სათანადო ყურადღებას არ აქცევს მშრომელთა სიგნალებსა და საჩივრებს.

გასული წლის თებერვალში რედაქციამ მიიღო მოქალაქე ნ. თურქაძის წერილი, სადაც ავტორი წერდა, რომ გაზეთის სისტემატურად აკლებენ. წერილი ზომების მისაღებად გადაეგზავნა „სოიუზპეჩატს“, რომელსაც რედაქციისათვის პასუხი დღემდე არ გაუცია.

უფრო მეტიც. მოქალაქე ს. მეშველიანმა რედაქციას გამოუგზავნა წერილი კავშირგაბმულობის ზოგიერთი კანტორის ნაკლოვანებათა შესახებ. წერილი ზომების მისაღებად გადაეგზავნა კავშირგაბმულობის სარწმუნებულს, სადაც არა თუ რაიმე ზომა არ მიუღიათ, არამედ თვით წერილიც დაკარგეს.

ეს ნაკლოვანებანი სასწრაფოდ უნდა აღმოიფხვრას, ხოლო კონკრეტული დამნაშავენი — დაისაჯონ. მოქნილი და ოპერატიული მუშაობა, მოსახლეობისა და საწარმო-დაწესებულებების მომსახურების გაუმჯობესება კავშირგაბმულობის მუშაკთა გადაუდებელი ამოცანაა.

ჯ. კაჭახიძე,
ც. ბუაჩიძე.

წერილები რედაქციას

მეჯი ლითონის ჯართი მეჯალურგიულ ქარხანას

სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის შეუფერხებელი მუშაობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს შავი ლითონის ჯართის რაც შეიძლება მეტი რაოდენობით მიწოდებას. პარტიული, საბჭოთა, პროფესიული და კომკავშირული ორგანიზაციების, თვითეული საბჭოთა მოქალაქის კეთილმობილური მოვალეობაა გასწიონ სათანადო აგიტაცია საწარმო-დაწესებულებებში, საკოლმეურნეო სოფლებში, რომ ტყეულუბრალოდ არ დავკარგოთ არც ერთი კილოგრამი ლითონის ჯართი, შევაგროვოთ და მივაწოდოთ იგი მეტალურგიულ ქარხანას.

ამ მიმართულებით მისაბაძია წულუკიძის რაიონის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მუშაობა. სადგურის კოლექტივმა ენერგიული მუშაობით ჯართის შეგროვების დავალება შესრულა და სტალინის სახელობის მეტალურგიულ ქარხანას 13 ტონა შავი ლითონის ჯართი გაუგზავნა.

აუცილებელია საჭირო გულისყურით მოვ

ვილჰელმ პიკის განცხადება ფრანგი მწერლის როქე ვაიანისადმი

ბერლინი, 10 იანვარი. (საკდესი). ადნ-ის საგენტო იუწყება:

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ვილჰელმ პიკმა ფრანგ მწერალ როქე ვაიანთან შეხვედრისას, რომელიც ბერლინში ჩამოვიდა თავისი პიესის „პოლკოვნიკი ფოსტერი თავს დამნაშავედ ცნობს“ ბერლინის თეატრში პირველად დადგმის გამო, კერძოდ, თქვა: „მოგილოცავთ თქვენს გამოჩენილ პიესას... და თქვენს განცხადებას საფრანგეთის კომუნისტურ პარტიაში, მშვიდობის პარტიაში შესვლის შეახებ, რომელთანაც ჩვენ უაღრესად მტკიცე კავშირს ვგრძნობთ.

მე მსურს დავასახელო ის მიზეზები, რომლებმაც მაიძულა გავაკეთო თქვენთვის ცნობილი განცხადება, რომ გერმანელი ხალხი არასოდეს არავის მისცემს ნებას გამოიყენონ იგი ომისათვის ფრანგ მშრომელთა წინააღმდეგ. გერმანელ მშრომელთა პროგრესული ნაწილის მეგობრული ურთიერთობა ფრანგ მშრომელებთან მტკიცედ დასაბუთებულია, სახელდობრ:

1. მათი ერთობლივი მეგობრობით საბჭოთა კავშირთან — მშვიდობის მსოფლიო ბანაკის მთავარ ძალასთან;

2. მათი ერთობლივი ბრძოლით ომის წინააღმდეგ, რომელსაც ამერიკელები კორეაში ეწევიან უმაგალითო მხეცობით კორეელი ხალხის მიმართ;

3. მათი ერთობლივი წინააღმდეგობით ამერიკის მილიტარისტული — ჰარიზისა და ბონის — პაქტებისადმი, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ორივე ჩვენი ქვეყნის ეროვნულ არსებობასა და ეროვნულ დამოუკიდებლობას, ემუქრებიან მშვიდობას და დასავლეთ გერმანიაში ქმნიან ფაშიზმისა და მილიტარიზმის ბაზას;

4. მათ აერთიანებს აგრეთვე ისიც, რომ გერმანელი ხალხის დიდი შვილი კარლ მარქსი, როცა თავის დიდ ნაწარმოებთ ქმნიდა, თავის მოძღვრებას იძენდა ფრანგი მშრომელი ხალხის ისტორიიდან, 1848 წლის რევოლუციიდან და განსაკუთრებით პარიზის კომუნის ისტორიიდან.

მე დავასახელებ აგრეთვე ამხ. ერნსტ ტელმანის 1932 წლის 31 ოქტომბრის გამოსვლას პარიზის ბიულეს დარბაზში, რომლითაც მან გამოთქვა აზრი ფრანგ მშრომელებთან მეგობრობისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სასარგებლოდ“.

მიღიზარისზული პროპაგანდა დასავლეთ გერმანიაში

ბერლინი, 10 იანვარი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიის ხელისუფალი ემზადებიან არმიის შესაქმნელად და ყოველნაირად ცდილობენ მოამზადონ ამისათვის მოსახლეობა. ნაზზგადოებრივი აზრის დამუშავება წარმოებს, უმთავრესად, მილიტარისტული წიგნებით, რადიოთი და გაზეთებით. დასავლეთ გერმანიის წიგნის ბაზარი პირდაპირ სავსეა მილიტარისტული ლიტერატურით. აქ შეიძლება ნახოთ ყველფერი: ჰიტლერელი გენერლების მემუარები, მთელი მონოგრაფიები მათი „გმირობის“ შესახებ, რევანშისტული სულისკვეთებით გამსჭვალული რომანები მეორე მსოფლიო ომის დროიდან. მარტო ერთმა გაზეთმა „დი დოიჩე ზოლდატენ ციატუნგმა“ ამას წინათ გამოაქვეყნა 35 ახალი მილიტარისტული წიგნის ნუსხა. გამოვიდა ყოფილი ჰიტლერელი გენერალ-ფელდმარშლის კლაისტის წიგნი, გენერალ გუდერიანის ორი წიგნი, გენერლების დიტლის, რენდულიცის. ტესკეს, ჰიტლერის ყოფილი პირადი ადიუტანტის ლოსბერგისა და სხვ. წიგნები. ჰიტლერული საპარაშუტო კორპუსის „მწვანე ეშმაკების“ ყოფილმა გენერალმა რამკემ გამოუშვა წიგნი რევანშისტული დევიზით. გამომცემლობამ „ბურდა დრუკ უნდ ფერლაგ“ ოფენბურგში ორ ტომად გამოსცა რევანშისტული იდეებით გამსჭვალული წიგნი „მეორე მსოფლიო ომი სურათებში“. პირველ ტომს ეწოდება „ნიურნბერგიდან სტალინგრადამდე“, მეორეს კი — „სტალინგრადიდან ნიურნბერგამდე“.

ახალწლამდე ცოტა ხნით ადრე დასავლეთ გერმანიის ბურჟუაზიულმა გაზეთებმა იწყეს რეკლამირება 1953 წლის „გერმანული კალენდრისა ჯარისკაცებისათვის“.

აღვიძახსნილმა ჰიტლერელთა სამხედრო ხროვამ, რომელიც გრძნობს ადენაუერის მთავრობის სრულ მხარდაჭერასა და მფარველობას, ფართოდ გააჩაღა საქმიანობა. ამჟამად დასავლეთ გერმანიაში გამოდის მრავალი სამხედრო გაზეთი და კერძოდ, „დი დოიჩე ზოლდატენ ციატუნგი“ (გერმანელ ჯარისკაცთა კავშირის ორგანო), სამხედრო — თეორიული ჟურნალი „ვერვისენშაფტლიხე რუნდშაუ“, „დერ შტალჰელმ“ („ფოლადის მუზარადის“ ორგანო), ყოფილი ჰიტლერული საპარაშუტო-სადესანტო ჯარების „დი გრუნენტოიფელის“ „საინფორმაციო ფურცელი“. ყოფილი სს-ელთა „ვიკინგ რუფის“ „საინფორმაციო ბიულეტენი“ და ბევრი სხვა.

მათ შორის ყველაზე დიდია გაზეთი „დი დოიჩე ზოლდატენ ციატუნგი“. ამ პირველადნილი რევანშისტული გაზეთის სატიტულო ფურცელზე გამოსახულია ჰიტლერული რკინის ჯვრის ორდენი, გაზეთი ყოველ ნომერში აქვეყნებს ჰიტლერის თანამოსაგრეთა მემუარებს, აღნიშნავს ყველა თვალსაჩინო გერმანელი გენერლის იუბილეს და სხვ. სამი მთავარი თემა არ შორდება ამ გაზეთის ფურცლებს: 1) ცილისწამება სსრ კავშირის, საბჭოთა არმიისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ; 2) ვერმახტის აღდგენა და 3) სამხედრო დამნაშავეთა განთავისუფლების მოთხოვნა.

გათავხედებული ჰიტლერელი გენერლები აშკარად მსჯელობენ ამ გაზეთის ფურცლებზე „გერმანიის სასიცოცხლო სივრცეზე“, ამტკიცებენ, რომ ამ „სივრცის“ მშვიდობიანი თანაარსებობა სსრ კავშირთან შეუძლებელია. ყოველ ნომერში ისინი დაჟინებით მოითხოვენ სამხედრო დამნაშავეთა განთავისუფლებას. ქება-დიდებას ასხამენ ამ დამნაშავეთა „დამსახურებას“ გერმანიის წინაშე და ამტკიცებენ, თითქოს ისინი დამნაშავენი კი არა, „გმირები“ იყვნენ. გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამჟამად ისინი ლოიალური არიან დასავლეთელი მოკავშირეებისადმი, „არავითარ წინააღმდეგობას“ და ამიტომ თითქოს განთავისუფლების ღირსი არიან.

გერმანიის სამხედრო ხროვა, იბრძვის რა გერმანიის ვერმახტის აღდგენისათვის, სრულ ნდობას უცხადებს და ყოველგვარ მხარდაჭერას ჰპირდება ადენაუერს. ამას წინათ „გერმანელ ჯარისკაცთა კავშირის“ თავმჯდომარე ყოფილი ადმირალი გოტფრიდ ჰანზენი ადენაუერისადმი მისასალმებელ დეპეშაში წერდა, რომ „მომავალი გერმანელი ჯარისკაცები“ მზად არიან ემსახურონ ბონის სახელმწიფოს ყველგან, „გერმანიის ძოცანების შესასრულებლად იქნებიან ისინი გამოყენებულნი თუ ევროპის ამოცანებისა“.

ამერიკის შეერთებული შტატები აჩქარებენ შორეული აღმოსავლეთის აგრესიული ბლოკის შეკოწინწებას

შანხაი, 9 იანვარი. (საკდესი). იაპონიის რადიოს ცნობიდან ჩანს, რომ ტოკიოში გრძელდება „მოლაპარაკება“, რომელიც დაკავშირებულია შეერთებული შტატების მფარველობით შორეულ აღმოსავლეთის აგრესიულ ბლოკის შეკოწიწების საკითხთან. როგორც ცნობილია, ამერიკის სამხედრო სარდლობამ ამას წინათ იაპონიაში გაიწვია თავისი სამხრეთ კორეის მარიონეტი — ლი სინ მანი, რომელიც თავის შტაბით ერთად რამდენიმე დღის განმავლობაში „ეთათბირებოდა“ იქ ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების სარდლს მორეულ აღმოსავლეთში გენერალ კლარკს, ამერიკის ელჩს ტოკიოში მერფის და იაპონიის პრემიერ-მინისტრს იოსიდას.

ეს „თათბირები“ მიმდინარეობდა სრულიად საიდუმლო ვითარებაში. იაპონიის პრესა, კომენტარს უკეთებდა რა ტოკიოს „სამხრეთ მოლაპარაკებას“, აღნიშნავდა, რომ ლი სინ მანის ყოფნა იაპონიაში მჭიდროდ იყო დაკავშირებული „შორეული აღმოსავლეთის . ანტიკომუნისტური ფრონტის შექმნის საკითხთან“.

უკანასკნელი დღეების ამბებმა დაადასტურა იაპონიის პრესის შეფასება. გუშინ ტოკიოში გამოქვეყნდა ცნობა გომინდანის მეთაურის ჩან კაი-შის მორიგი მყვირალა განცხადების შესახებ. მან „ღონისძიებათა გაერთიანებისაკენ“ მოუწოდა იაპონიის, სამხრეთ კორეისა და ტაივანის მილიტარისტებს, რომლებიც, როგორც მან განაცხადა, წარმოადგენენ „ანტიკომუნისტურ ავანგარდს შორეულ აღმოსავლეთში“. ჩან კაი-შის ეს საომარი განცხადება შემთხვევით როდი დაემთხვა ლი სინ მანის გამგზავრებას ტოკიოში. შემთხვევითი როდია აგრეთვე ის ფაქტი, რომ იაპონიის დედაქალაქში, რომელიც ამჟამად აგრესორთა შეკრების ადგილად გადაიქცა, გაწვეულ იქნა გომინდანელი „საგარეო საქმეთა მინისტრი“ ჯოუ ე, რომელიც, როგორც ტოკიოს რადიო აღნიშნავს, „სპეციალური დავალებით“ ჩავიდა იაპონიაში. უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ გომინდანის ემისრის ჩასვლასთან დაკავშირებით იაპონიის მთავრობამ სასწრაფოდ გაიწვია მოსალაპარაკებლად თავისი ელჩი ტაიბეიდან (ტაივანი).

წყნარი ოკეანის აგრესიული კავშირის გაძლიერებული შეკოწიწება მოწმობს ვაშინგტონის განზრახვას გააფართოოს თავისი სამხედრო ავანტიურები შორეულ აღმოსავლეთში და კიდევ უფრო მეტად გამოიყენოს საზარბაზნე ხორცად ვასალური ქვეყნების ხალხები.

ფრანგული გაზეთი აღიარებს

პარიზი, 9 იანვარი. (საკდესი). გაზეთ „მონდში“ გამოქვეყნდა რობერ ბორელის სტატია, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:

ახლოვდება ეკონომიკური კრიზისი. შეკვეთები, რომლებსაც ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე დიდი საავტომობილო ქარხანა იღებს, თითქმის ერთიორად შემცირდა. მეორე ქარხანაში, რომელიც ორ ცვლად მუშაობდა, დაწესდა ერთ ცვლად მუშაობა... შესამჩნევად შემცირდა ნავსადგურებისა და რკინიგზების შემოსავალი. ჩვენი დამზადებული პროდუქციის ფასი მეტად დიდია და არ შეგვიძლია წარმატებით ვებრძოლთ უცხოეთის კონკურენციას, კერძოდ გერმანიისას. აქედან გამომდინარეობს ჩვენი ექსპორტის შეკვეცაც.

„თუ რესპუბლიკურ საფრანგეთს, — წერს შემდეგ ბორელი, — სურს კავშირი და თანამშრომლობა დემოკრატიულად განწყობილ გერმანიასთან, ამისი იმედი მას არ შეუძლია იქონიოს იმ გერმანიის მიმართ, სადაც შეიძლება აღორძინდნენ ის ძალები, რომლებიც გაბატონებული იყვნენ ჰიტლერულ გერმანიაში.

ასეთი მოსაზრება სამართლიანია არა მარტო გერმანიის მიმართ, შეერთებული შტატები მოლაპარაკებას ეწევიან მადრიდის მთავრობასთან, რომლისთვისაც ისინი აპირებენ 40 მილიარდი ფრანკის მიცემას პირველი დახმარების სახით. ესპანეთში, სადაც სარწმუნოების თავისუფლების ბრინციპიც კი არ არსებობს, ათასობით პოლიტიკური პატიმარი, ოფიციალური პრესის აღიარების თანახმად, გმინავს საკონცენტრაციო ბანაკებში თუ საპატრიოტო სამუშაოებზე. ესპანეთის გენერალური შტაბის უფროსი ოფიციალურად მიიწვიეს შეერთებულ შტატებში. ჩვენ ვიცით, რომ იგი იყო ერთ-ერთი ხელმძღვანელი „ცისფერი დივიზიისა“, რომელიც ჰიტლერული ჯარების მხარდამხარ იბრძოდა.

ექვს წელიწადს ჩვენ იმისთვის როდი ვიტანჯებოდით და ვიბრძოდით, რომ ვყოფილიყავით მოწმე, თუ როგორ იბადება ასეთი ევროპა. მართლაც, უნდა გვიკვირდეს ის პოლიტიკური კონცეპცია, რომელიც ომისაგან ევროპის დასახსნელად აღადგენს იმ სტრუქტურას, რომელმაც ერთ დროს ომი გამოიწვია.“

მდგომარეობა ტრანსიორდანიაში

ბეირუთი, 11 იანვარი. (საკდესი). ლიბანური გაზეთი „ას-სარხა“, ეხება რა ტრანსიორდანიის ახლანდელ საშინაო მდგომარეობას, წერს, რომ ტრანსიორდანიის მთავრობა ინგლისელ და ამერიკელ იმპერიალისტთა მხარდაჭერით ამერიკელი იმპერიალისტები ტრანსიორდანიაში „მოქმედებენ ყბადაფდებული „ტრუმენის პროგრამის მეოთხე პუნქტის“ შესაბამისად) ახორციელებს ომისათვის მზადების პოლიტიკას: შენდება აეროდრომები, სამხედროსტრატეგიული გზები, ფართოვდება სამხედრო ბანაკები, ხორციელდება სამხედრო მშენებლობა აკაბის ნავსადგურში, ეწყობა მთელი რიგი სხვა სამხედრო ობიექტები.

ტრანსიორდანიის ბიუჯეტის 74 პროცენტი ხმარდება სამხედრო ხარჯებს და პოლიციის შენახვას, მაშინ როცა ასიგნებანი განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ბიუჯეტის 4 პროცენტს არ აღემატება.

ტრანსიორდანიაში, წერს შემდეგ გაზეთი, გაბატონებულია მმართველობის დიქტატორული მეთოდები საგანგებო კანონების საფუძველზე. პრესის თავისუფლება ჩახშობილია. პროგრესულ გაზეთებს ხურავენ. პოლიტიკური პარტიები და პროფკავშირები აკრძალულია. ათასობით ადამიანი სპეკრობილეებშია გამომწყვდეული გაუსამართლებლად და გამოუძიებლად. ოფიციალური, აშკარად შემცირებული ცნობებითაც კი 1951 წელს პატიმართა რიცხვი 14 ათას კაცს აღწევდა (ამ ქვეყნის მოსახლეობის საერთო რაოდენობა 1,3 მილიონს უდრის).

შემდეგ გაზეთი აღნიშნავს, რომ მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის მონაწილენი ტრანსიორდანიაში ხელისუფალთა მხრივ ტერორისა და თავდასხმის ობიექტს წარმოადგენენ. ტრანსიორდანიის მშვიდობის დაცვის კომიტეტის წევრები გამომწყვდეული არიან ალ-ჯაფარის სპეკრობილეში, რომელიც უდაბნოშია. ტრანსიორდანიის მშვიდობის მომხრეთა ორგანო ჟურნალი „ალ-ფაჯრ ალ-ჯადიდი“ დახურეს, ხოლო მისი პირველი ნომრები მოსპეს.

მაგრამ, ტერორის მიუხედავად, წერს დასასრულ გაზეთი, გრძელდება ტრანსიორდანელი ხალხის ბრძოლა თავისი უფლებებისათვის. ამას წინათ მთელ რიგ ქალაქებში გაიმართა დემონსტრაციები, რომელთა მონაწილეები მოითხოვდნენ ინგლის-ტრანსიორდანიის ხელშეკრულების გაუქმებას და ტრანსიორდანიისათვის „ტრუმენის პროგრამის მეოთხე პუნქტის“ მიხედვით დახმარების შესახებ შეთანხმების გაუქმებას. დემონსტრანტები მოითხოვდნენ აგრეთვე ტრანსიორდანიაში შემოღებული საგანგებო კანონების გაუქმებას, პოლიტიკურ უფლებათა გაფართოებას, საკონცენტრაციო ბანაკების ლიკვიდაციას, ეგრეთწოდებული „ერთობლივი თავდაცვის“ სისტემაში მონაწილეობაზე უარის თქმას.

დემონსტრანტებმა წამოაყენეს ლოზუნგები, რომლებიც მოუწოდებდნენ მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისაკენ.

აგრესიულ ბლოკში ეგვიპტის ჩაბმის ინგლის-ამერიკის გეგმა

კაიროს, 10 იანვარი. (საკდესი). ეგვიპტურმა გაზეთებმა გამოაქვეყნეს ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ვაშინგტონიდან გამოგზავნილი ცნობა, რომ შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა მოამზადეს ეგრეთწოდებული „შუა აღმოსავლეთის თავდაცვის“ ახალი პროექტი, რომელიც ეგვიპტეა წარედგინება. ცნობაში ნათქვამია, რომ შუა აღმოსავლეთის სარდლობაში მონაწილეობაზე თანხმობისათვის ეგვიპტეს დაჰპირდებიან ინგლისის ჯარების ევაკუაციას სუეცის არხის ზონიდან და სამხედრო და ეკონომიკური დახმარების გაფართოებას.

კორეის ამბები

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 10 იანვარი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაცხადა, რომ განვლილი დღის მანძილზე კორეის სახალხო არმიისა და ჩინელ სახალხო მოხალისეთა შენაერთები ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს ეწეოდნენ ამერიკელ-ინგლისელ ინტერვენტებთან ოდესანის მთის რაიონში.

მოწინააღმდეგის მე-11 ქვეითი დივიზიის მე-20 პოლკმა ორი მიმართულებით მოიტანა იერიში სახალხო არმიის პოზიციებზე, მაგრამ დაზარალდა და უკუგდებულ იქნა.

დღეს თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის ორი თვითმფრინავი.

ფხენიანი, 11 იანვარი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის დღეს გადმოცემულ ცნობაში ნათქვამია, რომ სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან ერთად თავდაცვითს ბრძოლებს ეწევიან ამერიკელ-ინგლისელი ინტერვენტებისა და ლისინმანელთა ჯარების წინააღმდეგ.

სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებლებმა მსროლელებმა დღეს ჩამოაგდეს მტრის სამი და ... ზიანეს ორი თვითმფრინავი.

კორეის ომის დაუყოვნებლივ შეწყვეტისათვის

მონიკა ფელტონის ბროშურა კორეის შესახებ

ლონდონი, 10 იანვარი. (საკდესი). 9 იანვარს ინგლის-ჩინეთის მეგობრობის საზოგადოებამ გამოაქვეყნა „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატის მონიკა ფელტონის ბროშურა კორეის შესახებ. ბროშურაში განხილულია საკითხი სამხედრო ტყვეების შესახებ, აგრეთვე საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის წინადადებანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. ბროშურა მთავრდება ინგლისელ სამხედრო ტყვეებთან ჩრდილოეთ კორეაში მონიკა ფელტონის საუბრების აღწერით და მოწოდებით — გაჩაღდეს მასობრივი კამპანია კორეაში ომის შესაწყვეტად სამხედრო ტყვეთა შესახებ ჟენევის კონვენციის საფუძველზე და მთელი ჯარებისა და სამხედრო ტყვეების დასაბრუნებლად აამშობლოში.

მონიკა ფელტონი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მაშინ როცა ჩინელი სახალხო მოხალისეები და ჩრდილოეთკორეელები ცდილობდნენ პანმინჯონში სამართლიანად მოწესრიგებულიყო საკითხი სამხედრო ტყვეებს შესახებ, ამერიკელმა გენერალმა ჰარისონმა 8 ოქტომბერს „უეცრად, სრულიად გაუმართლებლად, გამოაცხადა, შოლაბარაკება დამთავრებულიაო“.

ამერიკის წინადადება რეპატრიაციის საკითხზე, ხაზგასმით აღნიშნავს მონიკა ფელტონი, „არღვევს საერთაშორისო სამართალს და დიდი ხნის წინათ დამყარებულ საერთაშორისო ჩვეულებებს“.

მონიკა ფელტონი აღნიშნავს, რომ ამერიკელები აფერხებენ სამხედრო ტყვეთა საკითხის გადაწყვეტას, რათა განაგრძონ ომი. იგი იმოწმებს თემთა პალატაში 1952 წლის 6 ნოემბერს ნოელ-ბეიკერის სიტყვას, რომლითაც მან მოითხოვა დაუყოვნებლივ შეწყდეს ცეცხლი დაზავების შესახებ შეთანხმების 62 უკვე შეთანხმებული მუხლის საფუძველზე. ფელტონი წერს, რომ ინდოეთის წინადადება მიღებულია, იმიტომ რომ იგი არ ითვალისწინებს ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტას.

შემდეგ მონიკა ფელტონი აცხადებს, რომ საბჭოთა წინადადება, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ა. ი. ვიშინსკიმ შეიტანა, შეეფერება ჟენევის კონვენციის მოთხოვნებს.

მონიკა ფელტონი აღნიშნავს, რომ „საზოგადოებრივი აზრის სულ უფრო ფართო დაჯგუფებანი მოითხოვენ, რომ კორეის ომი აღარ გაფართოვდეს, რომ იგი შეწყდეს“.

შემდეგ მონიკა ფელტონი აღწერს თავის საუბრებს ინგლისელ სამხედრო ტყვეებთან ჩრდილოეთ კორეაში და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ისინიც მოითხოვენ ჟენევის კონვენციის დაცვას.

დასასრულ მონიკა ფელტონი მოუწოდებს ინგლისელ ხალხს გააჩაღოს მასობრივი კამპანია ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტისა და კორეაში ომის დამთავრებისათვის.

მემარჯვენე სოციალისტების კონფერენცია რანგუნში

შანხაი, 10 იანვარი. (საკდესი). იმ კომიტეტში, რომლებიც მემარჯვენე სოციალისტების რანგუნის კონფერენციის მონაწილეებმა შექმნეს, განიხილავენ აგრარულ საკითხს აზიის ქვეყნებში, აზიის სოციალისტური პარტიების მიზნებსა და პრინციპებს, კოლონიებში განმათავისუფლებელი მოძრაობის საკითხს.

უგანდის დელეგატმა, გაითვალისწინა რა მასების მოთხოვნა მის ქვეყანაში, ილაპარაკა იმპერიალიზმის გაძლიერებულ საფრთხეზე და აფრიკის კოლონიებსა და ტუნისში სამოქალაქო თავისუფლებათა შეკვეცაზე.

იგი დაჟინებით მოითხოვდა მორალური და მატერიალური დახმარება გაეწიოთ კოლონიურ ხალხებს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

ტუნისელმა მეთვალყურემ, რომელიც კონფერენციას ესწრება, ტაიებ სლიმმა კონფერენციას მოუწოდა ხელი შეუწყოს ტუნისში სისხლისღვრის დაუყოვნებლივ შეწყვეტას და განმათავისუფლებელ ბრძოლას აფრიკის სხვა ნაწილებში.

რანგუნიდან მიღებული ცნობები ცხადყოფენ, რომ არც ევროპელი და არც აზიელი მემარჯვენე სოციალისტები მხარს არ უჭერენ ტუნისისა და უგანდის ხალხებს, რომლებიც იმპერიალიზმის უღლის წინააღმდეგ იბრძვიან. მემარჯვენე სოციალისტების გაკოტრების მკაფიო მაჩვენებელია კონფერენციაზე ფრანგი მემარჯვენე სოციალისტების წარმომადგენლის ანდრე ბიდეს განცხადება, რომელიც იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ ფრანგი მემარჯვენე სოციალისტები „ძნელ მდგომარეობაში იმყოფებიან“, რადგან მათ არ ენდობიან არც ტუნისელები და არც საფრანგეთის ხალხი მასები, ანდრე ბიდემ საჭიროდ მიიჩნია მხოლოდ ერჩია ტუნისელებისათვის, „სასოწარკვეთილებას ნუ მიეცემითო“.

ესპანეთში ჩავიდნენ ამერიკის ხომალდები

პარიზი, 10 იანვარი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ფიგარო“ იუწყება, გუშინ ესპანეთის ნავსადგურებში ჩავიდა 37 სამხედრო ხომალდი ამერიკის მეექვსე ფლოტის შემადგენლობიდან, რომელიც ხმელთაშუა ზღვაში იმყოფება.

თ. გიორგაძე — თბილისის ჩემპიონი ჭადრაკში

დამთავრდა თბილისის 1952 წლის ჩემპიონის ... „პიშჩევიკის“ საკადრაკო კლუბში გაიმართა ჩემპიონატის უკანასკნელი ტური.

მთავარ ყურადღებას იპყრობდა გათამაშების ლიდერის ოსტატების კანდიდატის თ. გიორგაძისა და ახალგაზრდა მოჭადრაკის თ. კალატოზიშვილის პარტია. მოკლე და მწვავე ბრძოლის შემდეგ მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

თბილისის 1952 წლის ჩემპიონმა, ოსტატობის კანდიდატმა ა. ბუსლაევმა ძლიერი იერიში მიიტანა შავების მეფის ფლანგზე და აიძულა ს. გოლუბი დათმო პარტია. ა. ჯაკობიამ მოუგო ლ. შათაშვილს; მ. პაიჭაძისა და ე. მიქაელიანის, აგრეთვე ბ. ვეიზერისა და ლ. გერშკოვიჩის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

ამრიგად, საქალაქო შეჯიბრებაში გამარჯვება და თბილისის 1953 წლის ჩემპიონის წოდება ჭადრაკში მოიპოვა თ. გიორგაძემ, რომელმაც 14 შესაძლებლიდან შეაგროვა 11½ ქულა; მეორე და მესამე ადგილები გაინაწილეს ა. ბუსლაევმა და გ. გაჩეჩილაძემ (11-11 ქულა); მეოთხე ადგილზე გამოვიდა თ. კალატოზიშვილი (10 ქულა), მეხუთეზე — ლ. გერშკოვიჩი (8½ ქულა).

საქალაქო შეჯიბრებაში გამარჯვებული სამი მოჭადრაკე მონაწილეობას მიიღებს რესპუბლიკურ ჩემპიონატში. საქართველოს 1953 წლის პირველობის გათამაშება მოიწყობა თბილისში მაისის პირველი რიცხვებიდან.

ახალი ამბები

⊙ საქართველოს მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა, აქტივის დახმარებით, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან ერთად დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი თბილისის საავადმყოფოებში უკრაინის მაკარიოვის და ჩუდნოვის საავადმყოფოების სამკურნალო-დაცვითი რეჟიმის პრაქტიკულად დანერგვისათვის.

⊙ 300-მდე ლექცია სხვადასხვა საწარმოო თემაზე წაიკითხეს გასულ წელს ამიერკავკასიის რკინიგზის ნოვატორებმა და წარჩინებულმა სტახანოველებმა რკინიგზის ტრანსპორტის საწარმოებში თავიანთი გამოცდილების გაზიარების მიზნით.

⊙ მუშაობა დაამთავრეს საქართველოს პროფსაბჭოს მიერ მოწყობილმა პროფკავშირული ბიბლიოთეკების მუშაკების, აგრეთვე მუშათა კლუბების მხატვრული თვითმოქმედების ორგანიზატორთა კვალიფიკაციის ასამაღლებელმა კურსებმა, რომლებზეც მეცადინეობდა პროფკავშირთა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის 45 აქტივისტი.

კენცხოველის სახელობის ბიბლიოთეკამი

13 იანვარს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის შემსწავლელთათვის (სწავლების პირველი წელი) მოეწყობა ლექცია თემაზე: „ვ. ი. ლენინის შრომა „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“. ლექციას წაიკითხავს დოცენტი ვ. ონიანი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

13 იანვარს შედგება სემინარი დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შემსწავლელი წრეების პროპაგანდისტებისათვის (სწავლების მეორე წელი). სემინარს უხელმძღვანელებს ამხ. გ. ასათიანი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რედაქტორი გ. მერკვილაძე.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1953 წ. 28 იანვარს, დღის 1 საათზე, № 86 აუდიტორიაში (მთავარი შენობა, უნივერსიტეტის ქ. № 1) ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **შოთა იასონის-ძე ჩიჯავავაძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„ქალთა ისტორიულ-მხატვრული პერსონაჟები ქართულ ჰაგიოგრაფიაში (შუშანიკი, ნინო)“.** ოფიციალური ოპონენტები: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პროფესორი **კ. კეკელიძე,** დოცენტი, მეცნიერების კანდიდატი **ტ. რუხაძე.**

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

14 იანვარს	შ. ჰუნო — **ფაუსტი.** **ვალპურგის ღამე**
15 იანვარს	ბ. ასაფიევი— **ბალჩისარაის შადრევანი**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა, სახლების მმართველთა, სახლმფლობელთა და მოქალაქეთა საყურადღებოდ

„მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 30 აპრილის ბრძანებულებისა და „ადგილობრივ გადასახადთა და გამოაღებთა შესახებ“ 1942 წლის 10 აპრილის ბრძანებულების შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აცხადებს:

1. სახლების მმართველნი და სახლმფლობელნი ვალდებული არიან რაიონების (ქალაქების) საფინანსო განყოფილებათა მიერ დაწესებულ ვადებში წარუდგინონ მათ სახლმფლობელობაში მცხოვრებ მოქალაქეთა და მათი შემოსავლის დამოუკიდებელი წყაროების საგადასახადო აღრიცხვის ბარათები.

2. მოქალაქენი, რომელთაც ქალაქებსა და ქალაქის დასახლებებში აქვთ შემოსავლის დამოუკიდებელი წყაროები (იმ მუშა-მოსამსახურეთა, ლიტერატორთა და ხელოვნების მუშაკთა, კოოპერირებულ შინამრეწველთა და ხელოსანთა გამოკლებით, რომელთაც საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში მუშაობის ადგილას ნაშვრებს გარდა არავითარი სხვა შემოსავალი არა აქვთ), როგორიც არიან: არაკოოპერირებული შინამრეწველნი და ხელოსნები, მათ შორის მუშები და მოსამსახურენი, კოოპერირებული შინამრეწველნი და ხელოსნები, რომელნიც დაქირავებით ან არტელში მუშაობიდან თავისუფალ დროს ეწევიან რეწვას; არტელებისა და საწარმოთა შინამომუშავენი; შენობათა მფლობელნი: ბინების გამქირავებელი მოქალაქენი; ექიმები, მასწავლებლები და სხვა პირები, რომელიც ეწევიან კერძო პრაქტიკას და სხვ.. ვალდებული არიან 1953 წლის 15 იანვრამდე წარუდგინონ რაიონის (ქალაქის) საფინანსო განყოფილებას დეკლარაციები (განცხადებები) გასულ 1952 წელს მათ მიერ მიღებული შემოსავლის შესახებ.

1953 წლის განმავლობაში შემოსავლის წყაროების აღმოცენების შემთხვევაში პირველი თვის შემოსავლის შესახებ დეკლარაცია წარდგენილ უნდა იქნას ამ თვის გასვლიდან ხუთი დღის განმავლობაში.

3. სახელმწიფო გადასახადებში კანონით დაწესებული შეღავათების მისაღებად მუშები, მოსამსახურეები, სარეწაო და ინვალიდთა კოოპერაციული არტელების წევრები და აგრეთვე სხვა პირები, რომელიც გადასახადებით იბეგრებიან მუშა-მოსამსახურეთა თანაბარ საფუძველზე, ვალდებული არიან წარადგინონ თავიანთი სამუშაო ადგილის მიხედვით საბუთები ბავშვის ყოლისა და რიცხვის შესახებ, ხოლო იმ პირებმა, რომლებსაც კმაყოფაზე ჰყავთ 3 სულზე მეტი — უნდა წარუდგინონ აგრეთვე ცნობები მათ კმაყოფაზე მყოფ პირთა რიცხვის შესახებ.

4. საწარმონი, დაწესებულებანი და ორგანიზაციები, მათ შორის სარეწაო კოოპერაციული არტელების გამგეობანი, ვალდებული არიან წარადგინონ რაიონების (ქალაქების) საფინანსო განყოფილებებში ცნობები იმ პირთა ნაშვრების შესახებ, რომელნიც საწარმოთა და არტელებისათვის მუშაობენ თავიანთ ბინაზე (შინამომუშავენი).

5. საწარმონი, დაწესებულებანი და ორგანიზაციები ვალდებული არიან წარუდგინონ